# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 18 ივლისი, 2014 წელი.

№140 (7521)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ახლა არ მოგწონთ ბექაურის მოწმეობა?




რატომ მოენატრა ნიკა გვარამიას, ანუ იგივე ენაცმოძრაობას, გადაცემა „60 წუთი"?

2

## სამართალი ურმით დადის?..



ჯერ ძველი მკვლელობების კვალდაკვალ... ანუ როდის დადგება დაანონსებული მალე

2

## არჩილ კბილაშვილის „საფრთხე" საყდრისისთვის

3




## გვიშველის ასოცირება?

4



## ექსპორტიორები ხელოვნურ ბარიერებზე ალაპარაკდნენ

7

## მამა დავითი: ანაკლიის „კაზანტიპი" საქართველოსთვის

6

## უბედურების მომტანი იქნება



## საქართველო, მოლდოვა და უკრაინა კაპიტოლიუმის ბორცვზე

8

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

ასე, ჩემო მანასეო?..

# ახლა არ მოგწონთ ბექაურის მოწმეობა?

## რატომ მოენატრა ნიკა გვარამიას, ანუ იგივე გნაცმოძრაობას, გადაცემა „60 წუთი“?

**ბევრი მკითხველი მიხვდებოდა, რომ სათაურად გამოტანილი სიტყვები შალვა რამიშვილს ეკუთვნის, რომელმაც თავის გადაცემაში გნაცმოძრაობელებს წამოაძახა — მაშინ ხომ მოგწონდათ ბექაურის მოწმეობა, როდესაც ჩემს დასაპატიმრებლად გამოიყენეთ, ახლა კი, რახან გიგი უგულავა ამხილა, უკვე თვალში აღარ მოგდითო?**

ახლა ამის საპირისპიროდ შემოვატრიალოთ კითხვის ვექტორი: კარგად გვახსოვს, რომ „რუსთავი-2“ და ახალჩასახული გნაცმოძრაობის მეთავენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბასკერვილების ძაღლივით იყენებდნენ ე. წ. ჟურნალისტურ გამოძიება „60 წუთს“ იმათი მოსპობა-გულგახეთქვისთვის, ვინც თვალში არ მოსდიოდათ!




რაღა შორს წავიდეთ და, თვით ამ გადაცემის და იმის ავტორ-შემკვეთთა წარმოუდგენელი უკაცობა-უნამუსობის ნიმუშად მხოლოდ ის ამაზრზენი სიუჟეტი გამოდგება, რომლითაც ამ არაკაცებმა ვალერი ასათიანს, შესანიშნავ პიროვნებას, ჭეშმარიტ ინტელიგენტს, საქართველოს იმდროინდელ კულტურის მინისტრს, ადამიანს, ვისზეც ქართული ლექსიკის ყველა ეპითეტი ალალია, მკვლელობა დააბრალეს!



თანაც როგორი მკვლელობა! — თურმე, ნუ იტყვით და, ვალერი ასათიანს, ამ „ცივსისხლიან სერიულ მკვლელსა და მანიაკს“, არა მხოლოდ უბრალოდ მოუკლავს, არამედ ხერხითა და ნაჯახით დაუნაწევრებია კიდეც თავისი მსხვერპლი!

**არ გაგისკდება ამის გამგონ-დამნახავ ადამიანს გული?**

თუმცა, განა სწორედ და მხოლოდ ეს არ უნდოდათ თანამედროვე ქართული ბასკერვილების ძაღლის ამშვებ-წამსისინებელ „რუსთავი-2“-სა და იმის იმდროინდელ, მაშინ საზოგადოებისთვის ჯერაც უცნობ, ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფ „ოპოზიციონერ“ გნაცელებს?

გაუძლო ვალერი ასათიანმა ამ უმუხანათურეს-უბილწეს სისაძაგლეს, თანაც ისეთი რაღაცებით „შეფუთულს“, რისი გახსენებაც არ შემიძლია!

პირიქით, სასამართლოშიც უჩივლა და მოუგო კიდეც „60 წუთს!“

ანკი, როგორ არ მოუგებდა, როცა არარსებულს, არარეალურს აბრალებდნენ!

**სასამართლომ „60 წუთს“ ვალერი ასათიანისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდა და მისთვის 50 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.**

კი დააკისრა, მაგრამ...

„დემოკრატიის შუქურა“ ქვეყნის „ამშენებელმა“ გნაცმოძრაობელებმა, რაკი უკვე ხელისუფლების სათავეში იყვნენ, „ბასკერვილების ძაღლი“ — „60 წუთი“ — ჯერ ლამის მიწისქვეშა ჯურღმულში გამოამწყვდიეს, მერე კი საერთოდ გააუქმეს: **ანკი აწი რაში სჭირდებოდათ, „დემოკრატ გნაცებს“ ხელისუფლების გამკრიტიკებელი ტელეგადაცემა, ისინი ხომ თავად იქნებოდნენ ნებისმიერი უკეთურების გამომჟღავნებელ-მოწინააღმდეგენი (დრომ გვიჩვენა, რა დემოკრატებიც ყოფილან!)?**

ახლა კი, როდესაც განაცელთა, რბილად რომ ვთქვათ, უსაქციელობით გამწარებულმა ხალხმა მათ ხელისუფლების კარი ჩაურაზა, ისინი უკან, ხელისუფლებაში მოსაბრუნებლად ფაფხურობენ.

**ამიტომაც განსაკუთრებით სჭირდებათ პანდორას ყუთის ელექტრონული ვერსია — „რუსთავი-2“ და, მით უფრო, იმისი „60 წუთი“.**

ეს თავად ნიკა გვარამიამაც დაადასტურა, რომელმაც თქვა, რომ იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა აწ გარდაცვლილ ეროსი კიწმარიშვილთან „60 წუთის“ აღდგენის თაობაზე.

გასაგებია, რისთვისაც: **სურთ, რომ ახლა ამ ხელისუფლებას მიუქსიონ იგი, კვლავ აამტუტონ ძლივს დაწყნარება-დალაგებისაკენ მიმავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.**

**რაო, ჩემო მანასეო, ხალხისა და ხელისუფლებისთვის ჯოჯოხეთის მოწყობის დამპირებელო თავად ჯოჯოხეთის მოციქულო ნიკავ, როცა გნაცმოძრაობის თავკაცებთან ერთად ხელისუფლებაში იყავი, „60 წუთის“ გაუქმება არც გაგიპროტესტებია, ახლა კი კვლავ ლამობ მის აღდგენას ხელისუფლებაში დაბრუნების მიზნით?**

**ანუ ხან ისე და ხან ასეო?!**

**ისე, სხვათა შორის, თუ სიმართლე გინდა, ჩემი სოფლელი მეზობლის მოზვერი უფრო მოიგებს დეკეულს, ვიდრე შენი „რემბრენდიგებული“ გნაცმოძრაობა დაბრუნდება ხელისუფლებაში ჰალსტუხჭამია-ცხვირით გორის მიწის მთხრელი სააკაშვილის თავკაცობით!**

**რუსლან რუსია**

მთებისა არ იყოს, ჩვენი მოლოდინიც უსაზღვროა?!

# სამართალი ურმით დადის?..

## ჯერ ძველი მკვლელობების კვალდაკვალ... ანუ როდის დადგება დაანონსებული მალე

**გამოუძიებელი საქმეების ნუსხა კვლავ მრავლად არის საგამოძიებო უწყებებში, ხოლო საზოგადოებას ისინი არ ავიწყდება. მეტიც, სულმოუთქმელად ელოდება ობიექტურ ვერდიქტს და საქმის რეალურ შედეგს. თუმცა, ამ პროცესებს ხან კოჰაბიტაცია უშლიდა ხელს, ხანაც არჩევნები, ხან არეული სამხილები თუ სხვა რამ. ჩვენ დავინტერესდით რამდენიმე გახმაურებული საქმის ძიების პროცესით, იმით, რამდენად ობიექტურ კვალს ადგას გამოძიება და როდის შეძლებს საქმის დახურვას, ანუ როდის დადგება დაანონსებული „მალე“.**

**ჟვანიას საქმე**

**ნინო ქადაგიძე-ჟვანია:** ჩვენც მოუთმენლად ველოდებით საქმის გახსნას. გამოძიება შეჩერებულია. გვეუბნებიან, რომ ექსპერტიზის პასუხებს ელოდებიან და სექტემბრიდან ძიება ახალი შემართებით განახლდება. რა თქმა უნდა, ჩვენც და თქვენც ამის შესახებ აუცილებლად გავიგებთ.

**ვაზაგაშვილის საქმე**

**იური ვაზაგაშვილი:** აბა რა გითხრათ, პროკურატურა პასიურობს, ხან კადრებს აბრალებენ, ხან რას, მაგრამ, ჩემი აზრით, არც უნდათ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. ვიყავი პროკურატურაში, დავულაგე ყველანაირი მტკიცებულებები, 10 დღეში დავამთავრებ ამ საქმეს, თქვენ მიხელმძღვანელეთ-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გიორგი დალაქიშვილი ქალაქის სამმართველოს უფროსია დღეს, არადა მისმა ჯგუფმა აუტეხა სროლა ჩემს შვილს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ღარიბაშვილი კი მატყუებს და მეუბნება, თვითონ ამბობს, რომ 150 მეტრში იდგა და არაფერი არ უნახავსო. მე მისი მჯერაო. მე კიდევ ვაჩვენე დალაქიშვილის პირველი ჩვენება, სადაც ამტკიცებს, რომ მანქანის წინ იდგა. მინისტრს ჩემი არ სჯერა. დალაქიშვილი ტყუილს არ იტყოდაო. მეტსაც გეტყვით. ემზარ კვიციანის საქმეს დღესაც ის პროკურორი იძიებს, ვინც მას თავიდან ბრალი წაუყენა. თენგიზ ხარებავა თავის თავს ხომ არ გაამტყუნებს?

მიმდინარეობს გამოძიებაო, მამშვიდებენ, მაგრამ, როგორც ვხედავ, უნდათ, ხელი სპეცრაზმელებს შეახოცონ. მე ამას არ დავუშვებ! მე ვთქვი კიდეც პროკურატურაში, თუ რეალური ძვრები არ იქნება, მოვალ ჟურნალისტების თანხლებით და უკან გამოვითხოვ ჩემი შვილის საქმეს-მეთქი. რას ამბობ, ამის საჭიროება არ არისო! არჩევნებმა შემიშალა ხელი, ვადროვებ კიდევ 10 დღეს და მერე მივხედავ ამ საქმეს.

მე მარტო ზურას ამბავი არ მაწუხებს. ეს ხელისუფლება მკვლელებს ეძახდა ნაციონალებს. დღეს გაჩუმებულები არიან. ჩვენ კიდევ არ ვაპირებთ მკვლელებთან კოჰაბიტაციას! აი, კიწმარიშვილის საქმეზეც რა ამბავია ატეხილი. საზოგადოების 99 პროცენტს ჰგონია, რომ მოკლეს. შეიძლება ეს აბსოლუტურად მცდარია, მაგრამ ეს ხომ იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლების მიმართ ხალხს დიდი უნდობლობა აქვს. შვილები დაგვიხვრიტეს, ციხეებში ადამიანები აწამეს, 200 პოლიტპატიმარი გვყავდა და არც ერთი საქმე გამოძიებული არ არის. ეს ხომ სირცხვილია!!!

**რობაქიძის საქმე**

**ია მეტრეველი:** ახალი ამ საქმეში არაფერი არ არის. მთავარია, რომ ძიება შეჩერებული არ არის. მე ვფიქრობ, რომ ეს პროცესი არჩევნებმა შეაფერხა. არ ვარ პესიმისტურად განწყობილი. პირიქით, დიდი იმედი მაქვს, რომ ძიება მალე მოჰფენს ნათელს ყველაფერს და დასასჯელები დაისჯებიან.

**გირგვლიანის საქმე**

**გურამ გირგვლიანი:** როგორც ვიცით, მიდის სასამართლო პროცესი. ვანო მერაბიშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებიან. დათა ახალაია აქ არ არის და მასზე ჯერ არაფერია ნათქვამი. ბაჩოც ნახსენებია ამ საქმეში.

ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად მიდის. უშუალოდ სანდროს მკვლელობასთან დაკავშირებით სასამართლო ჯერ არ დაწყებულა. საუბარია იმ ოთხ ადამიანზე, რომლებიც მკვლელებად დასახელდნენ და ამ დროს განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდნენ ციხეში. თუმცა, თანდათან იკვეთება, რომ ამ საქმეში 4-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.

ალბათ, იცით ადვოკატ ზაქარეიშვილის „ლოგიკაც“, მისი მოტივაციაა, რომ საქმეს სულ სხვა მიმართულება მისცეს. თვალებში უტიფრად მიყურებს და მეუბნება, შენი შვილი



ბუხაიძემ (სანდროს მეგობარმა) მოკლაო. შეიძლება მალე მეც კი დამადანაშაულოს მკვლელობაში. ეს არის ბოდვა, ალოგიკური მსჯელობა. ამაზრზენია ამ ადვოკატის საქციელი, მაგრამ კი ბატონო, დავუშვათ ეს ვერსიაც. ოღონდ, დაამტკიცოს!

**თეა მოსია**

ვარაუდი

# კიწმარიშვილის ოჯახი თვითმკვლელობას გამორიცხავს

**გუშინ ეროსი კიწმარიშვილის ოჯახმა სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თვითმკვლელობის ვერსიას არ ეთანხმებიან. „ოჯახი შეძრწუნებულია მომხდარით, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და თავზარდამცემია ეს ტრაგედია. ძალიან გვიჭირს, მომხდარს რაიმე ახსნა მოვუძებნოთ. ეროსი მუდამ ენერგიული და აქტიური ხასიათით გამოირჩეოდა და სულ ბოლო პერიოდშიც არაერთ განსახორციელებელ პროექტზე ფიქრობდა. აქედან გამომდინარე, ოჯახი არ ეთანხმება თვითმკვლელობის ვერსიას და ელოდება გამოძიების დამთავრებას“, — ნათქვამია კიწმარიშვილის ოჯახის განცხადებაში.**



ეროსი კიწმარიშვილის ძმას ზურაბ კიწმარიშვილს კი უცნაურად ეჩვენება ის გარემოება, რომ იარაღზე სისხლის კვალი არ იყო. ამის შესახებ ზურაბ კიწმარიშვილმა, რომელიც პირადად ესწრებოდა გარდაცვლილი ეროსი კიწმარიშვილის ავტომობილის დათვალიერების პროცესს, „რუსთავი-2“-თან ინტერვიუში განაცხადა. „მე ვნახე იარაღი, რომელიც, როგორც ამბობენ, მიბჯენით იყო გამოყენებული. მასზე არ იყო სისხლის კვალი, სხვაგან ყველგან იყო სისხლის კვალი, მთელ მანქანაში და იარაღი საკმაოდ ახლოს ვნახე და სუფთა მომეჩვენა. ეს იყო ჩემთვის უცნაური დეტალი“, — აღნიშნა ზურაბ კიწმარიშვილმა.

მისივე თქმით, გარდაცვლილი მანქანაში მძღოლის ადგილზე იჯდა, ღვედი ეკეთა და ფარები ანთებული იყო. „ყველანი ვართ დაზაფრული ამ ფაქტით, რაც მოხდა. ძალიან სამწუხარო იყო ის პირველადი ვერსიებიც, რაც გავრცელდა“, — დასძინა ზურაბ კიწმარიშვილმა.

ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი გადაჭრით ვერ ამბობს მიყენებული დაზიანება საკუთარი ხელით მოხდა თუ სხვისი. სამედიცინო ექსპერტიზამ დატოვა ორივე შესაძლებლობა, რომ დაზიანება, რომელიც მიბჯენითაა, შესაძლებელია მიყენებული იყოს საკუთარი ხელითაც და სხვისი ხელითაც, — ამის შესახებ დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა „პალიტრა TV“-ის ეთერში, გადაცემა „რეზიუმეში“ ჩართვისას განაცხადა.

„სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას არ შეუძლია თქვას, მკვლელობაა თუ თვითმკვლელობა, მაგრამ შეუძლია თქვას, არის თუ არა ის მიდამო საკუთარი ხელის მოქმედების ზონაში. ეს არის მარჯვენა საფეთქლის მიდამო და რამდენადაც მე ვიკითხე, ეროსი კიწმარიშვილი ცაცია არ ყოფილა. ანუ ამ სამედიცინო ექსპერტიზამ დატოვა ორივე შესაძლებლობა, რომ დაზიანება, რომელიც მიბჯენით არის მიყენებული, შესაძლებელია, მიყენებული იყოს საკუთარი ხელითაც და სხვისი ხელითაც“, — აღნიშნა მაია ნიკოლეიშვილმა.

მისივე თქმით, ეროსი კიწმარიშვილს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება თავის არეში, ტრაექტორიით — მარჯვნიდან მარცხნივ, ოდნავ ქვევიდან ზევით.

**„ასეთი ტრაექტორია აბსოლუტურად შესაძლებელია საკუთარი ხელით გასროლისას, ისევე, როგორც სხვა ადამიანის ხელით. ამიტომ აქ უნდა გამოიკვეთოს სხვა რამ — ავტომანქანის სალონში გვერდით იყო თუ არა პიროვნება, სისხლის წვეთები და შხეფები, რომლებიც ეროსის მარჯვენა ხელზე აქვს, გრძელდება თუ არა გვერდით დასაჯდომზე და ა.შ. მთლიანად უნდა შეივსოს სურათი. ანუ თუ ეს სისხლის კვალი გრძელდება სალონში, ზუსტად იმ შხეფების სახით, რომელიც მას ხელზე ჰქონდა და მარაოსავით გაშლილი გახდება, მაშინ გასაგები იქნება, რომ იქ არავინ იჯდა“,** — განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა.

სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ ეროსი კიწმარიშვილის მანქანიდან 20 ათასი ლარი გაქრა: „ეროსის მანქანიდან 20 ათასია გამქრალი და ამაზე არავინ არაფერს ლაპარაკობს, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს„ კონფიდენტმა. მისი თქმით, ეს თანხა რუსთავის არჩევნებში კიწმარიშვილის დამხმარე პირებისთვის იყო განკუთვნილი და თანხა კიწმარიშვილის გარდაცვალების დღეს უნდა დარიგებულიყო, ან უკიდურეს შემთხვევაში მეორე დღეს. წინა დღეს მომზადდა სიუჟეტი, რომ ეროსი მათ ხელფას არ აძლევდა. მეორე დღეს ეროსიმ დაიბარა გია ხევიაშვილი. ჩადის ხევიაშვილი 4 კაცთან ერთად. მას შემდეგ რაც ეროსიმ მის სატელეფონო ზარს არ უპასუხა, ხევიაშვილი, ეროსისთან სახლთან მივიდა. ავიდა სახლში, ზარი დარეკა, თუმცა, კარი არავინ გაუღო და შემდეგ ავტოფარეხში ჩავიდა 4 კაცთან ერთად. ნახა მანქანის ფარები ანთებულია. ეროსი ღვედით ზის მანქანაში და მოკლულია“, — აცხადებს კონფიდენტი. თუმცა, აქვე ჩნდება ეჭვი, ვინ არის ეს „კონფიდენტი“ და ამდენი საიდან იცის?!

შეხვედრა ახალ ადვოკატთან

# არჩილ კბილაშვილის „საფრთხე“ საყდრისისთვის

**RMG gold-ს ახალი მენეჯმენტი და ახალი ვექილი ჰყავს. საყდრისის ოქროს საბადოს საკითხზე კომპანიის ინტერესებს სასამართლოში ყოფილი მთავარი პროკურორი, ხელისუფლებიდან არასამთავრობო სექტორში გადასული არჩილ კბილაშვილი იცავს. იგი ამ ეტაპზე საქმის შესწავლას განაგრძობს. ამ მიზნით, უკვე შეხვდა საყდრისის გადარჩენისთვის მებრძოლ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლებს. რას შეცვლის საქმეში ყოფილი მთავარი პროკურორის ჩართვა და რა მოლოდინი აქვთ ადამიანებს, რომლებიც საყდრისის, როგორც უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლის, გადასარჩენად თვეებია სხვადასხვა მეთოდით იბრძვიან?**

**For.ge „საყდრისის გადარჩენის კომიტეტის“ წარმომადგენელს, ჟურნალისტ ირაკლი მამალაძეს ესაუბრა. იგი კბილაშვილთან გამართული დახურული ფორმატის შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე იყო.**




ირაკლი მამალაძე: — ვადასტურებ, რომ შედგა შეხვედრა არჩილ კბილაშვილთან. მიწვეული ვიყავი პირადად მე. ღიად დადასტურდა, რომ კომპანია RMG gold-ის იურიდიული კონსულტანტი არის არჩილ კბილაშვილი. გავიგეთ ისიც, რომ შეიცვალა მენეჯმენტი. ვერ გავიგეთ ზუსტად, რა უნდოდათ ჩვენგან და რა მოლოდინი იყო ამ შეხვედრისგან. თუმცა, დაისვა კონკრეტული კითხვები, რომლებზეც ვერ ვისაუბრებ, რადგან დასაწყისშივე ითქვა, რომ შეხვედრა დახურული იყო და კონკრეტული საკითხები არ უნდა გახმაურებულიყო.

თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ საყდრისის გადარჩენის კომიტეტი და მასთან მიერთებული ორგანიზაციები — „მწვანე ალტერნატივა“, საია - ვართ ერთ აზრზე, ვამბობთ, რომ საყდრისი არის უძველესი ოქროს მაღარო, კაცობრიობისთვის მნიშვნელოვანი ძეგლი. აქედან გამომდინარე, წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ კომპანიამ ძეგლის დაზიანების სანაცვლოდ რაიმე კონკრეტული სამუშაოები განახორციელოს. მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა გაგრძელდეს კვლევები. ამ დროისთვის კვლევები ტერიტორიის მხოლოდ 1/3-ზეა ჩატარებული. კვლევები უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ, რადგან ეს მნიშველოვანია ქვეყნისთვის და კაცობრიობისთვის.

უკვე ერთი წელია, რაც გრძელდება „საყდრისის ტყვეობა“ და ამ ხნის განმავლობაში ვერაფერს მივაღწიეთ იმის გარდა, რომ ერთმანეთს მივაყენეთ შეურაცხყოფა, იყო გამოსვლები და პროტესტი... ამ ერთი წლით კარგად ისარგებლეს უცხოელებმა, ადამიანებმა, ვინც კარგად იცის საყდრისის ფასი. ცნობილმა მეცნიერმა შტონერმა, რომელიც თბილისში იყო ჩამოსული, განაცხადა, რომ უამრავმა დამწყებმა მეცნიერმა დაიცვა ევროპაში ხარისხი საყდრისის თემაზე. სახელმწიფო კი RMG gold-თან ერთად ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორ ჩამოერთმია საყდრისისთვის ძეგლის სტატუსი და დაენგრია იგი.

კბილაშვილთან შეხვედრაზე პირადად მე დავადასტურე პატივისცემა კბილაშვილის მიმართ. ვთქვი, რომ ის არის ადამიანი, რომელმაც ჩემი თაობის ჟურნალისტებს, პრაქტიკულად, აჩვენა პროკურატურის გამჭვირვალობა და გახსნა ეს ორგანო. იმედი მაქვს, ასევე ღიად და გამჭვირვალედ იმუშავებს საყდრისის საკითხზეც. აქამდე გაურკვეველია, ვინ დგას ამ კომპანიის უკან, ვისი ლობი მოქმედებს, ვინ არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოში წიაღისეულს მოიპოვებენ და სანაცვლოდ დანგრეულ კულტურულ მემკვიდრეობას და გადაჭრილ მთებს გვიტოვებენ.

**— რა ეტაპზეა ამჟამად RMG gold-თან წარმოებული იურიდიული დავა და კონკრეტულად რისი დაცვა მოუწევს არჩილ კბილაშვილს?**

— ამ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შეჩერდა საყდრისში სამუშაოები. ახლა უკვე დაიწყება საქმის არსებითი განხილვა. მეორე სარჩელით, რომელიც „მწვანე ალტერნატივამ“ მოამზადა, სასამართლომ საყდრისს აღუდგინა ძეგლის სტატუსი, რომელიც კულტურის მინისტრმა ბატონმა ოდიშარიამ წაართვა.

ჩვენ არ გვაქვს საქმე კერძო კომპანიასთან, ჩვენ საქმე გვაქვს სახელმწიფოსთან, რომლის ვალდებულებაა, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა.

**— არჩილ კბილაშვილზე, როგორც პროფესიონალ ადვოკატზე თუ ვისაუბრებთ, მისი უმთავრესი მიზანი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ, RMG gold-ის ინტერესების მაქსიმალურად დაცვაა, რაც თქვენს მიზანს ეწინააღმდეგება. თანაც, კბილაშვილი მაღალ თანამდებობას ფლობდა ხელისუფლებაში და, სავარაუდოდ, გარკვეული ტიპის გავლენებს კვლავ ინარჩუნებს. არ ფიქრობთ, რომ ეს ფაქტორები თქვენს წინააღმდეგ იმოქმედებს?**

— საყდრისის საკითხზე სახელმწიფომ ორი პროცესი წააგო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ცუდი იურისტები ჰყავდა. ასევე გაგრძელდება — იმიტომ, რომ აქ არის უამრავი კანონდარღვევა, ამას ვერც კბილაშვილი უშველის და ვერც ვერავინ. ფაქტია, შავით თეთრზე წერია, რომ საყდრისი არის უძველესი მაღარო, მას უკანონოდ ჩამოართვეს ძეგლის სტატუსი, შემდეგ ისევ მიანიჭეს, შემდეგ ისევ წაართვეს... ვნახოთ, რა მოხდება, თუ ეს კომპანია დაიწყებს ახალი ფურცლიდან მოქმედებას და შეძლებს, რომ გადაარჩინოს კულტურული მემკვიდრეობაც და გააგრძელოს ოქროს მოპოვებითი სამუშაოები, მისასალმებელი იქნება. ჩვენ ვამბობთ: უნდა შენარჩუნდეს საყდრისი იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს არის.

რაც შეეხება არჩილ კბილაშვილის ფაქტორს, ძალიან კარგად ვიცით, რომ იგი, ფაქტობრივად, არის ნომერი მეორე „მოქალაქე“, რომელიც ბიძინა ივანიშვილს არასამთავრობო ორგანიზაციას საკუთარი ორგანიზაციით შეუერთდა, ვიცით, რომ ყოფილ პრემიერთან დაახლოებული პირია, მაგრამ, იმედს ვიტოვებთ, რომ ამ შემთხვევაში საქმეში ჩართულია, როგორც ადვოკატი და მის უკან არ დგას სახელმწიფო მანქანა ან ისეთი ძლიერი მხარე, როგორიც ბიძინა ივანიშვილია. ვფიქრობ, ის კეთილსინდისიერად იმოქმედებს და იმოღვაწევებს ამ სფეროში.

**მადლენა მაჭარაშვილი**

გამქრალი სამედიცინო ტვირთი

# სად მიდის მერიის სახელზე გამოგზავნილი მორფინის კვალი?

**ყოფილი ხელისუფლება შესაძლოა ახალ სკანდალში გაეხვას. საქმე ეხება 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს აშშ-დან დაჭრილი სამხედროებისთვის სპეციალურად გამოგზავნილ მორფინს. გიორგი ბადაშვილის უწყება 2008 წელს უგზო-უკლოდ დაკარგული მორფინის საკითხს იკვლევს, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.**

გამოცემა „ტელეგრაფის“ ინფორმაციით, ამ საკითხით ამერიკული მხარეა დაინტერესებული. „ტელეგრაფისთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ვაშინგტონის ერთ-ერთი ონკოლოგიური საავადმყოფოდან სამედიცინო ტვირთი საქართველოში ოფიციალურად თბილისის მერიის სახელზე გამოიგზავნა.

გამოცემასთან საუბრისას ამჟამად აშშ-ში მცხოვრები პირი საუბრობს, რომ სამედიცინო ტვირთი ვაშინგტონის ონკოლოგიური საავადმყოფოდან ომის დროს დაჭრილი ქართველი ჯარისკაცებისთვის სპეციალურად გამოიგზავნა. ეს იყო ძალიან მაღალი ხარისხის მორფინი, რომელსაც, როგორც წესი, ონკოლოგიური პაციენტებისთვის ტკივილის გასაყუჩებლად იყენებენ. რაც შეეხება სამედიცინო ტვირთის რაოდენობას, ის ერთი კონტეინერი იყო.

**„აქ იყო მთელი კომპლექტი — საინექციო საშუალებები, ბამბა, სპირტი. ყველაფერი ყუთებში იყო მოთავსებული. საკმაოდ დიდი რაოდენობის მორფინის ადრესატი თბილისის მერია იმიტომ გახდა, რომ ომის პერიოდში ამერიკის სახელმწიფოს მისი სხვა ფორმით გამოგზავნა გაუჭირდა, რაღაც სამართლებრივი პრობლემა შეიქმნა და მორფინი დედაქალაქის მმართველობის სახელზე გამოიგზავნა.**

**ეს ტვირთი მერიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის უნდა მიეწოდებინა, რაც არ მოხდა. სად წავიდა 1 კონტეინერი მორფინი, ამ საკითხით თავად ამერიკული მხარეც არის დაინტერესებული“,** — აღნიშნა „ტელეგრაფთან“ საუბრისას რესპონდენტმა, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

როგორც ირკვევა, ამ სკანდალურ საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებულია მთავარი პროკურატურა და შესაბამისი სამსახურები მოკვლევას აწარმოებენ. For.ge შეეცადა ამ საკითხთან დამატებითი მასალის მოპოვებას, თუ რა ეტაპზეა საქმე და ვისი ბრალეულობა შეიძლება გამოიკვეთოს, როგორც პროკურატურაში აცხადებენ, გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე პროკურატურა თავს იკავებს დეტალების დაკონკრეტებისგან.

ჩვენ ასევე ინფორმაცია გადავამოწმეთ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში, იყო თუ არა 2008 წელს აშშ-დან საქართველოში შემოსული სამედიცინო ტვირთი აღრიცხული ჯანდაცვის სამინისტროში, თუმცა, როგორც პრესსამსახურში გვითხრეს, სამინისტროში ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოიპოვება.




ინფორმაციას არ ფლობს, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე გიგი წერეთელი. დეპუტატი ამბობს, რომ 2008 წლის ომის დროს, სხვადასხვა სახის დახმარებები იგზავნებოდა, მათ შორის ამერიკიდან და სხვადასხვა ქვეყნიდან, თუმცა, ამ ტვირთებში იყო თუ არა მორფინი, ამის შესახებ მას ინფორმაცია არ გააჩნია.

**„რა იგზავნებოდა და როგორ, ბუნებრივია, ეს ჩემს ხელში არ გადიოდა, მაგრამ მახსოვს, რომ რაღაცა ტიპის დახმარებები შემოვიდა აშშ-დან. საერთოდ პირველად გავიგე, რომ მორფინზე იყო ლაპარაკი, ნამდვილად არ ვიცი. თუმცა, როცა საომარი მოქმედებებია ნარკოტიკული ანალგეტიკები შესაძლებელია იყო პაკეტში, ეს ლეგალურ ბრუნვაში არის, ამას სამედიცინო დაწესებულებები მოიხმარენ და მით უმეტეს ეს აქტუალური არის საომარი მოქმედების დროს.**

**ამიტომ, თეორიულად შეიძლება არსებობდეს ეს პაკეტში, ამაზე არის ყოველთვის მკაცრი აღრიცვა და არის პასუხისმგებელი პირი, ვინც იცის, სად მიდის და როგორ მიდის. ვინ ანაწილებდა მედიკამენტებს, ამაზე ჩანაწერები იქნებოდა. თუ მოკვლევა დაიწყეს, ალბათ რაღაცას იტყვიან“,** — აცხადებს წერეთელი.

აშშ-დან საქართველოში დაჭრილი ჯარისკაცებისთვის გამოგზავნილი მორფინის გაუჩინარების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე.

**„მთელი უბედურება ისაა, რომ ვერ ვიგებ რატომ უნდა ჰქონოდა შეხება ამ მორფინთან უგულავას, მით უმეტეს ომის დროს ყველაფერს თავისი წესი აქვს. მთელი უბედურება ის იყო, რომ ამ ომის დროს ვინ იძლეოდა განკარგულებას, ვის ექვემდებარებოდა სამხედრო ძალები, ეს იყო გაუგებარი.**

For.ge შეეცადა ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარისგან მიეღო, თუმცა, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ირაკლი სესიაშვილმა ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა.

**თამთა ქარჩავა**

# გვიშველის ასოცირება?

**ევროკავშირის ასოცირებულ წევრად გახდომის ეიფორიამ, განსაკუთრებით ცეკვათამაშის დარგში, ჩაიარა. ცხოვრება, მისთვის ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა - უამრავი პრობლემით და მათი გამოსწორებისთვის საჭირო სურვილისა და გეგმების დეფიციტით.**

ასოცირებულ წევრობას ბევრი უდიდეს წარმატებად აღიქვამს, რამაც უნდა გამოაღვიძოს ქართული ეკონომიკა და აალორძინოს დამოუკიდებლად არსებობის წლებში დაკარგული ეროვნული სულისკვეთება, პატრიოტიზმი, შრომის ნაყოფიერება. ბევრიც თვლის, რომ ასოციირება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეროვნულ სულისკვეთებას, პატრიოტიზმს შეეჭიდება, ვინაიდან ამას ითხოვს გლობალიზაცია, ამერიკელთა მიერ სხვაგვარად გააზრებული (მეტადრე სათავისოდ) და დამკვიდრებული.

სამწუხაროა, რომ საზოგადოების იმ ნაწილმა, ანუ ასოციირებული წევრობის სკეპტიკოსებმა, ხელმოწერის შემდეგ ამოიღეს ხმა, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ხელმოწერამდეც იღებდნენ (ხმას), მაგრამ მედია არ წყალობდა. მედიას ხომ ხელისუფლების მხრიდან გარკვეული მესიჯები მისდიოდა — ასოცირების ხელშეკრულების სასარგებლოდ? და არათუ სასარგებლოდ, არამედ ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენად წარმოსაჩენად.

სპეციალისტები სამართლიანად აღნიშნავენ ასოციირებული წევრობიდან გამომდინარე საფრთხეებს და იმის თქმასაც არ ერიდებიან, რომ გარდამავალი პერიოდი (არაერთი წელი) ქართველი ხალხისთვის მძიმე წლები იქნება.

**დადებით და უარყოფით გამონათქვამებში ბევრია უკიდურესი, მაგრამ რაც შეეხება საშუალოს, არ ჩანს. დიახ! ევროკავშირთან ასოციირება სამომავლო ბედნიერებაა, თუკი საქართველო განუხრელად გაჰყვება ბრიუსელის რეკომენდაციებს და რჩევებს, შეითვისებს რაციონალური, პატიოსანი შრომის წესებს, უარს იტყვის ზერელობაზე, კორუფციაზე, ზარმაცობასა და თაღლითობაზე, შინაგანად გადაკეთდება და არათუ ჩაიდენს დანაშაულს, მცირესა და დიდს, არამედ თავშიც არ გაივლებს.**

ზემოჩამოთვლილის შესასრულებლად არის თუ არა ქვეყანა მზად? აი, ეს კითხვა იბადება და თუ მას დროულად არ გაეცა პასუხი, უმთავრესად ხელისუფლების მხრიდან — ასოციირება, ასოციირებად დარჩება, ქვეყანა კი დეგრადირებულად, შესაძლოა, გაცილებით დეგრადირებულად, ვიდრე დღეს. და მაშინ მოვა უკიდურესი სიდუხჭირე (ეს დრო გაცილებით ადრე დადგება, ვიდრე ევროკავშირული ოქროს მდინარეები) და დაიწყება ხელისუფლების მიერ, განახლებული ენერგიით იმ „პლასტინკის" ტრიალი — რუსული აგრესია რომ ჰქვია.

ჩავარდნები ვიღაცას უნდა დაბრალდეს. ობიექტურად — ეს ვიღაცა, ხელისუფლება უნდა იყოს, მაგრამ სულაც ამ ჭკუაზეა დღევანდელ-ხვალინდელი ხელისუფლება, დანაშაულის ტვირთი რომ ზიდოს? მისთვის გაცილებით იოლი იქნება ნაცადი „დამნაშავის" ხელახალი გამომზეურება და ეს რუსეთი იქნება.

მაინც რა ბედნიერებაა, როდესაც რუსეთია ჩვენი მეზობელი?! რას არ დააბრალებ მას?!

ზოგი სკეპტიკოსი, რუსეთის მიერ ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე ომის გაუჩაღებლობას ქართული დიპლომატიის დიდ წარმატებად აღიქვამს და იმასაც ამბობს, რომ აბაშიძე-კარასინის შეხვედრებმა განაპირობეს რუსეთის განეიტრალება.

გადაჭარბებული შეფასებაა, ვინაიდან კრემლს, რომ რაიმე აგრესიული ჰქონოდა დაგეგმილი, ქართული დიპლომატია ვერაფერს გახდებოდა. რუსული პოლიტიკა არ წამოეგო ქართული პოლიტიკის, რაც მთავარია ხელისუფლების მაპროვოცირებელ განცხადებებს და თავი შეიკავა არა მარტო პირდაპირი აგრესიისგან, რასაც საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობდა, არამედ რიტორიკაშიც არ აჰყვა ქართველ კოლეგებს არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციის სარბიელსა და უცხოურ მედიაში.

თვალი გადაავლეთ დოკუმენტის პარაფირებიდან ხელმოწერამდე განვლილ პერიოდს და საქართველოს ხელისუფალთა, უდავოდ, გამომწვევ განცხადებებს, გაკეთებულს ამერიკელ და ევროპელ პოლიტიკოსთა წინაშე და უმალ დარწმუნდებით, ქართული მხარის ტენდენციურობაში. შინაარსი მისი, მოლა ნასრედინის საქციელს ჰგავს — შვილი რომ კოკით წყლის მოტანამდე გალახა (კოკა რომ არ გაეტეხა). მსგავსად ნასრედინისა — ქართული პოლიტიკა სისტემურად ასმენდა რუსეთს ამერიკელებთან, რუსეთის აგრესიულ გეგმებზე გაჰყვიროდა, ითხოვდა დახმარებას მაშინ, როდესაც მეზობელს მსგავსი, თავშიც არ გაუვლია.

დააკვირდით, მის გუშინდელ და დღევანდელ განცხადებებს, სად არის აგრესია? სად არის ეშმაკის თავი ჩამარხული? თუ რამ მძაფრი განცხადება იყო, უკრაინას ეხებოდა, ვინაიდან ამ ქვეყანასა და რუსეთს შორის არსებული ეკონომიკური კავშირები არა მარტო უკრაინისთვის იყო სასიცოცხლო, არამედ რუსეთისთვისაც.

საქართველოს მსგავსი კავშირები არ აქვს დიდ მეზობელთან. ქართული პოლიტიკის



ვირეშმაკობა — საკუთარი ფასის აწევაში მდგომარეობდა, ანუ შემხედეთ, რა თავდავიწყებით ვიბრძვი თქვენი ფასეულობების ჩვენთან დასანერგად, განსაკუთრებით რუსული აგრესიის ფონზეო.

არ „ჭამა" რუსეთმა — არც დასავლეთში ქართველ პოლიტიკოსთა აშკარა ცილისწამებლურ რიტორიკას აჰყვა და არც ნაბიჯი, ცხადია, აგრესიული, გადმოდგა, რითაც ერთობ დაანაღვლიანა ქართული მხარე. რუსეთის ქცევაში არის პრაგმატიზმი და, რაც მთავარია, მოთმინება. რატომ იჩქარებს? ის უბრალოდ დააკვირდება ჩვენს ქცევას, როგორც ასოციირებულისა ამჟამად და ისეთ ნაბიჯს გადადგამს, რაც მის ეკონომიკას წაადგება.

რუსეთი დარწმუნებულია, რომ ასოციირებული წევრები უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას სახით, თვით მოიტეხენ კისერს, რამაც სერიოზული რყევა შეიძლება გამოიწვიოს ამ სამ ქვეყანაში. ეს რყევა უკრაინაში უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს და თანაც ისე, ბოლო რომ არ უჩანს. ასე, რომ ქართული პოლიტიკა-დიპლომატიის საზრიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

**დიახ! ჩვენ მოგვწონს ევროპა, მაგრამ ფასადურად, ზედაპირულად. მოგვწონს ბევრი რამ იქაური, მაგრამ არ მოგვწონს რა გზით, რა ხერხით მიიღწევა ყოველივე. ალბათ, არც ის მოგვეწონება, როდესაც ყოველივე აღნიშნულის შესასრულებლად პასუხს მოგვთხოვენ — ამჟამად არა კრემლიდან, არამედ ბრიუსელიდან.**

**უნებლიედ იბადება კითხვა — რა ხიბლავს საქართველოს მოქალაქეს და არა მარტო მას, ევროკავშირში? უპირველეს ყოვლისა, ფასადი, ანუ ერთი თვალით დანახული ევროპა — გაწკრიალებული ქუჩები, ენით ალოკილი სახლების სადარბაზოები, გატკეცილი გზები, სახლების მოვლილი ფასადები, ქუჩებში მშვიდად მოსიარულე ხალხი, საქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობა და თვით ამ ტრანსპორტის გამართულობა! წესრიგი ყველგან და ყველაფერში.**

გარეგნული ეფექტი უდავოდ გაფიქრებინებს დახვეწილ კანონმდებლობასა და კანონმორჩილებაზე და, რაც მთავარია, კარგ აღზრდასა და თვითშეგნებაზე. ევროპელი, განსაკუთრებით გერმანელი, გამოყენებულ ბოთლს სწორედ იმ ნაგვის ურნაში ჩააგდებს, რომელიც ბოთლისთვისაა განკუთვნილი და არა სხვაში. „წითელზე" ქუჩას არ გადაკვეთს, ისე, როგორც ჩვენ.

პატარა ავსტრიულ დასახლება შლაინინგში, სადაც ერთი ცენტრალური ქუჩა გადის და რომელზეც, დიდის ალბათობით, ერთ საათში, ერთი მანქანა თუ გაივლის, შუქნიშანია. და დგას ავსტრიელი, „მწვანე" შუქის მოლოდინში. „მოხერხებულმა" ქართველებმა „წითელზე", მოურიდებლად გადავკვეთეთ ქუჩა, რითაც ავსტრიელის ღიმილი დავიმსახურეთ. ჩვენ კი მას საპასუხო სიტყვა შევაგებეთ, ცხადია ჩვენს თავებში — „გიჟია"!

და მართლაც, რას ელოდება „მწვანეს", „წითელზე" გადავიდეს, მით უმეტეს ავტომანქანის ჭაჭანებაც არ არის. მაგრამ არა — ავსტრიელი, სხვა ევროპელი ამას არ გააკეთებს. და არ გააკეთებს, იმიტომ, რომ ჯარიმის ან დასჯის ეშინია. არ გააკეთებს იმიტომ, რომ აღზრდა, შინაგანი კულტურა არ აძლევს მას ამის საშუალებას. მან იცის, რომ „წითელზე" გადასვლა კანონის დარღვევაა, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც. მან იცის, რომ მცირედ და დიდ კანონდარღვევას შორის ზღვარი მცირეა. დაუშვებ პატარა დარღვევას და დაუშვებ დიდსაც. აი, ამ „მარტივი" ჭეშმარიტებით ცხოვრობს ევროპელთა უმრავლესობა. გამონაკლისები კი ყველგანაა, მათ შორის, ევროპაშიც.

რანი ვართ ჩვენ, დიდი კულტურისა და ისტორიის ხალხი? გვაქვს თუ არა ევროპისთვის მისადაგებელი კულტურა? ვართ ან ვიქნებით თუ არა ისეთები, როგორებიც ისინი? და თუ ვიქნებით, როდის?

ამ კითხვებს რომ ვსვამ, ყველაფერზე ვფიქრობ — „წითელზე" ქუჩის გადაკვეთასა და ქუჩის დანაგვიანებაზე, მაღალსართულიანი შენობის ფანჯრებიდან ნაგვის გადმოყრაზე, ავტომანქანებიდან ბოთლებისა და სიგარეტის ცარიელი კოლოფების გადმოყრაზე, სადარბაზოებში შარდვაზე, საქალაქო ტრანსპორტში მობილურ ტელეფონებზე ხმამაღლა და გაუთავებლად ლაპარაკზე, ქუჩებზე ნამწვავების მოურიდებელ დაყრასა და ფურთხებზე, დედის გინებასა და ყ.., ყ.. ძახილზე, გამყიდველის მიერ მომხმარებლის სისტემურ მოტყუებაზე, ხელისუფალთა მიერ ამომრჩევლის სისტემურ მოტყუებაზე, ხელისუფლების მიერ ისეთი პროექტების განხორციელებაზე, თვით მას რომ წაადგება და არა ქვეყანას, გამდიდრების მიზნით სხვათა ჯიბეში ხელის ფათურზე და, რაც მთავარია, რაციონალურ, მუყაით შრომაზე.

აღნიშნულ მანკიერებათა არსებობას მეტნაკლებად საბჭოთა პერიოდშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ დამოუკიდებლობის ჟამს მან ფრთები გაშალა და ისეთი მასშტაბები შეიძინა, ავ თვალს არ ენახვება. დღეს, ბევრი იხსენებს საბჭოეთის დროს არსებულ წესრიგს. მართალია, ის იდეალური არ იყო, მაგრამ რაღაც იყო ისეთი, რაც დღეს არ არის.

საბჭოთა სისტემის დროს არსებული წესრიგი მხოლოდ მოგონებას შემორჩა. წესრიგმორყეულ ქვეყანაში უწესრიგობის ზეიმია — უზრდელობის და გაუტანლობის, სიზარმაცის და ყოვლისშემძლეობის ფსევდო შეგრძნების, განუკითხაობის და უკანონობის. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

დიახ! ჩვენ მოგვწონს ევროპა, მაგრამ ფასადურად, ზედაპირულად. მოგვწონს ბევრი რამ იქაური, მაგრამ არ მოგვწონს რა გზით, რა ხერხით მიიღწევა ყოველივე. ალბათ, არც ის მოგვეწონება, როდესაც ყოველივე აღნიშნულის შესასრულებლად პასუხს მოგვთხოვენ — ამჟამად არა კრემლიდან, არამედ ბრიუსელიდან.

იყო თუ არა საჭირო ზემოჩამოთვლილი მანკიერების აღმოსაფხვრელად ევროკავშირის ასოციირებული წევრობა? არამც და არამც. ამას ასოციირება ვერ უშველის. ამას ჩვენი საკუთარი ძალისხმევა სჭირდება და გამოცდილ ხელისუფალთა შეძახილი, სურვილი გარდაქმნისა. ქუჩაში გადაფურთხებაზე უარისთვის შედიხარ ევროპაში?

**სამართლიანობისთვის, პატიოსანი შრომისთვის, კანონის კანონობისთვის, საყოველთაო წესრიგისთვის, შრომის დაფასებისთვის, ეკონომიკის წინსვლისთვის, სოციალური ყოფის გამოსწორებისთვის და კიდევ მრავალი სასურველი მიზნის მიღწევისთვის გვსურს ევროპაში შესვლა. არადა, აღნიშნულ საკითხებში ევროპა დახმარებას ვერ გაგვიწევს. ის, უბრალოდ, მიგვითითებს და თუ ვერ შევძელით მითითებების შესრულება, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ.**

რა გამოდის? ვიღაცის მიუთითებლად, ვერაფერს ვაკეთებთ? რაც მართალია, უნდა ვაღიაროთ, რომ ვერაფერს. ვერაფერს, იმიტომ, რომ ასე ვართ აღზრდილი. წესრიგისთვის იქ ყველა იბრძვის, ვისაც ეს უშუალოდ ეხება. ბონში, ღამის ცხრა საათზე კაფეს წინ არსებულ მაგიდასთან არ დაგვსვა ოფიციანტმა, ვინაიდან შორს მოსჩანდა საცხოვრებელი სახლი და იქ მცხოვრები მავანი უმალ დარეკავდა პოლიციაში — კაფეს წინ მაგიდასთან სხედან და მყუდროებას მირღვევენო. პოლიცია კი კაფეს მეპატრონეს დააჯარიმებდა, არადა, კაფესა და სახლს შორის ისეთი შორი მანძილი იყო, ლაპარაკს კი არა, ყუმბარის აფეთქების ხმას ვერ გაიგებდნენ სახლში მცხოვრებნი.

წესი წესია და ის ყველამ უნდა შეასრულოს, ანუ საზოგადოებამ უნდა აკონტროლოს ერთმანეთი. ვართ კი ამ დონეზე, თავიც ვაკონტროლოთ და სხვაც? ნამდვილად არა! და რომ ვიყოთ, სხვა ცხოვრება გვექნებოდა, ანუ დემოკრატიული, სამართლიანი.

სამართალს დამნაშავე ვერ აღადგენს. სამართლის აღმდგენი დამნაშავე კი არ უნდა იყოს, საერთოდ უდანაშაულო, ანკარა წყაროსავით გამჭვირვალე ცხოვრება უნდა ჰქონდეს გავლილი. დაგვიჩემებია, სამართალმა პური უნდა ჭამოსო და გუშინდელ „ნაცებს", დღევანდელ „ოცნებელებს" ვთხოვთ ამ საქმის გაკეთებას. არადა, ქართული გაგებით, ისინიც ადამიანები არიან და ხელმრუდობა, „შეცდომაც" დასაშვებია.

ვიღაც გაჰყვირის — გუშინდელი კრიმინალებით, რომლებიც უხვად არიან სამართალდამცავ ორგანოებში, აღადგენ სამართლიანობასო?! და მართალია. არადა, „ნაცთა" ძალისხმევით, ყველა დაწესებულება სწორედ ასეთებით იყო დაკომპლექტებული. მთავარი — ხელისუფალთა სიწმინდე და საქმის ერთგულება უნდა იყოს. მანკიერებები, რაც იყო და არის, იმათი გამჭოლი მზერის ქვეშ ხდებოდა და ხდება — საითაც მივდივართ.

ქართველთა გახრწნის საქმეში ევროატლანტიკურ სივრცეს უდიდესი დამსახურება მიუძღვის. მან არათუ მიუთითა ამაზე ხელისუფლებას, პირიქით წაახალისა, გუნდ-

რუკი უკმია და შესაბამისი ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, ისეთი რეიტინგები მოგვახვია თავს — თქვენი მოწონებული. ყველა პარამეტრით წარმატებული საქართველო პირველი თუ არა, პირველ ათეულში მაინც იყო მოხსენიებული. სად დაიკარგა ეს პირველობა? ისეთი შთაბეჭდილება იყო შექმნილი, ჩვენ კი არ უნდა შევსულიყავით ევროკავშირში, ისინი უნდა შემოსულიყვნენ ჩვენთან.

მენტალურად გარდაქმნა ყველას უნდა შეეხოს — უპირველესად ხელისუფლებას. დამნაშავე უნდა დაისაჯოს. დამნაშავეს ხელი არ უნდა აფარონ ევროპა-ამერიკის პოლიტიკოსებმა, მით უმეტეს თითო-ოროლა დაპატიმრებულ „ნაცს“, ციხეში არ უნდა მიაკითხოს. პატიოსანმა „ნაცებმა“ ციხიდან, ინტერნეტისა და მედიის დახმარებით ტვინი არ უნდა გაგვიხვრიტონ — მართლები ვართო. მათმა მეუღლეებმა ტელეეკრანები არ უნდა წალეკონ ისეთი განცხადებებით, როგორებიცაა რუსეთის ძალისხმევა ბაჩო ახალაიას სასჯელის გაზრდაში (ახალაიას მეუღლის განცხადება).

რა პრიმიტივიზმია?! და ჩვენც პრიმიტიულები — ამის მომსმენნი. რაღაც ვერ ვიხსენებ საზოგადოების საპროტესტო მიტინგს ამათუ იმ ტელეკომპანიასთან მსგავსი მაგალითების აღსაკვეთად.

საზოგადოება არა მარტო ამ კონკრეტულ მაგალითზეა გულგრილი, გაცილებით მნიშვნელოვანზეც, მაგალითად, ისეთზე, „ზემელზე“ ახალი საბაგიროს მშენებლობა რომ ჰქვია. მარტო ცნობილი არქიტექტორი, უდავოდ პატრიოტი ადამიანი ვახტანგ დავითაია გაჰყვირის — ამის გაკეთება არ შეიძლებაო. სხვა დუმს. როდესაც არსებობს საბაგირო გზის ნაცადი ტრასა, თავისი ქვემო-ზემო სადგურებით ახლის, თანაც მახინჯის და სახიფათოს გამოგონება, რაღა საჭიროა? და ეს ხდება ყველას — მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების, თითოეული ჩვენგანის თვალწინ.

ყვირის მარტო დავითაია. სხვები გაყუჩებულები ვართ, იმიტომ, რომ ფეხებზე გვიკიდია. გაყუჩება - დანაშაულია, ვინაიდან ცუდი საქმე კეთდება, ვიღაცის ჯიბის გასქელების გამო. გაყუჩებამ წალეკა „კომკავშირის“ ხეივანი, ვაკის პარკი, სხვა ტყე-პარკები, ძირში მოთხარა მამასისხლად ნაშენი სკვერებისა და პარკების მწვანე საფარი, გმირთა მოედანი „დაამშვენა“ უბადრუკი და ტრეფიკგაუმტარი ესტაკადით, ძველ ქალაქში გადო არსად მიმავალი ხიდი და წამოჭიმა ორ „ტრუბიანი“ შენობა, მოლაპლაპე ექსტერიერით, დომინანტად სიონის ტაძარზე, ძველ ქალაქზე.

ამ ყველაფერში მთავრობაა დამნაშავე, მაგრამ არანაკლებ — ყოველივე ჩვენგანი. დანაშაულის მომზირალნი. დამნაშავენი არიან უცხოელი, ამ შემთხვევაში ევროპელი არქიტექტორებიც, ვინც შეკვეთა მიიღო. მოდერნის სიძველეში ჩაკვეხება დანაშაულია.

დანაშაულია ის, რომ დღემდე ვერ გამოიძებნა სოფლის მეურნეობის სამკურნალო წამალი, არადა რახანია დამოუკიდებლები ვართ.

დანაშაულია, როდესაც შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ლუკმა-პურისთვის უცხოეთს არის გადახვეწილი.



დანაშაულია, ქვეყნის ისეთ დონეზე დაყვანა, როგორიც დღეს არის.

და როდესაც ამდენი დანაშაულია, გვიშველის ასოცირება?

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

**P. S. ეს-ესაა, ამერიკულმა კვლევამ გვამცნო დემოგრაფიული წინსვლის თაობაზე. მსოფლიო მოსახლეობა იზრდება, მან 7 მილიარდს გადააჭარბა. იზრდებიან ქვეყნები, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც კატასტროფულად მცირდებიან. და არა მარტო მწირი შობადობის და მაღალი მოკვდაობის გამო, არამედ სამშობლოდან ლუკმა-პურის საძიებლად სხვა ქვეყნებში წასვლის გამო. ასეთთა რიცხვში საქართველოცაა მოხსენიებული. „ასოცირება ევროპასთან უვიზო მიმოსვლას მოგვიტანსო“, — გვახარებს ხელისუფლება. და სულ არ ფიქრობს, რომ ამ „სასიხარულო“ ამბავს ქართველებისგან ქვეყნის დაცლა მოჰყვება.**

**ჰ. ჭ.**

**პარტია-სექტა**

# ფიცი ვიწამოთ, მაგრამ მამლის ბოლოებიც დავინახოთ!

**ისე როგორც ერები განსხვავდებიან და განირჩევიან ერთმანეთისაგან, ასევეა ქვეყნებიც (რა თქმა უნდა, ხალხი აძლევს ქვეყანას ელფერს!). თავისებურებანი ყველა ქვეყანას ახასიათებს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ საქართველო ამ მხრივ კიდევ უფრო განსაკუთრებულად თავისებური და უცნაური ქვეყანაა. ამაში ბევრმა რამემ დამარწმუნა და არა მგონია, მე ვიყო მარტო და ერთადერთი ამ შეხედულებებისა. აბა ერთი, გავიხსენოთ ქვეყანა, სადაც დიდძალი სახელმწიფო ქონების გაფლანგვის ბრალდებით ამა თუ იმ ჩინოვნიკს აპატიმრებდნენ და ბრალდებულის თანაპარტიელები სამართალდამსრულებელი ორგანოების წინ აგრესიულ მიტინგებს მართავდნენ? არა მარტო მიტინგებს, არამედ ინგლისურ ენაზე პოლიტიკური შოუც მოაწყვეს ერთ-ერთ ტელეარხზე („ტაბულა“!), სადაც უცხოელი სტუმარი ჰყავდათ მიწვეული. არ ვიცი, ამ სანახაობის მომწყობი რას ფიქრობდა, ან რას ელოდა ამ უცხოელისაგან, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ინგლისური ენის გამოყენებით მან და მისმა თანამზრახველებმა, მსოფლიოს გააგებინეს თუ როგორ აპატიმრებს დღევანდელი საქართველოს მთავრობა მაღალჩინოსანს. ვითომ იმ სტუმარს ჩვენზე მეტად ეწყინებოდა ჩვენი მოქალაქის, თანამდებობის პირის დაპატიმრება?**



ვინ დააპატიმრეს ამ დღეებში და ვისზეა საუბარი, მკითხველი ადვილად მიხვდება. ეს გახლავთ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, ამ პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი, დედაქალაქის ყოფილი მერი. საწყენია ეს ამბავი და გულსატკენი ჩვენთვის, ქართველებისთვის, ბოროტი უნდა იყოს კაცი, რომ ვისიმე დაპატიმრება გაუხარდეს, ხოლო უგუნური კი ის, ვისაც გამფლანგველისა და დამნაშავის საქმის გამოძიება, სამართლიანობის აღდგენა და დაცვა აღიზიანებს. ქალაქის მერი ბევრ ჩვენგანს, თავდაპირველად ნამდვილად კარგი, საქმიანი და პატიოსანი ახალგაზრდა გვეგონა, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, სალაღობოდ მოსულ და საქმეების გამკვარახჭინებელ ხელისუფლებას არაფრით ჩამორჩა და იმ დროინდელ მაღალ პოლიტიკურ ელიტაში „ნდობა და სიყვარული“ დაიმსახურა.

პარტიის ოპოზიციურობა ვახსენე და ორ კითხვას, რომელიც ამ წუთში გამიჩნდა, პასუხი უნდა გავცე: მართლა ოპოზიციურია ის პარტია, რომლის წარმომადგენელი გახლავთ ეს პატიმარი? და მეორე — იყო თუ არა მოულოდნელი ამ პირის დაპატიმრება?

ასე, რომ პირველი კითხვა ნაციონალურ პარტიას ეხება.

არც პოლიტოლოგი ვარ და არც არავითარი პარტიის მუშაკი, რომ ვამტკიცო, რამდენად ოპოზიციურია ეს პარტია და და არის თუ არა იგი საერთოდ, ის პოლიტიკური ძალა, რომლის საქმიანობა ქვეყანას და ხალხს სასიკეთოდ წაადგება. მაგრამ როგორც ერთ-ერთი რიგითი, მაგრამ ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებული მოქალაქე, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ **ეს პარტია არ არის ოპოზიციური პარტია. ეს პარტია სექტას თუ აგრესიულად განწყობილ პირთა კრებულს უფრო ჰგავს, იმ კრებულს, რომელსაც მხოლოდ ქვეყნის მმართველი პარტიის დამცირება, დაკნინება, აბუჩად აგდება, ამ პარტიისადმი ხალხში ნიჰილიზმის, უიმედობის დანერგვა უფრო აინტერესებს, ვიდრე თავად ქვეყანა — საქართველო.** რატომ ხდება ეს ასე, ამის ახსნას კი შევეცდებოდი, მაგრამ უმჯობესია პროფესიონალებმა — ფსიქოლოგებმა, პოლიტოლოგებმა, ფილოსოფოსებმა იკისრონ და ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიონ ხალხი, — რა ხდება!. რა საკვირველია, არ გამოვრიცხავ, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს თავისი შეხედულება, მოთხოვნა, პრეტენზია ქვეყნის მმართველი პარტიისადმი, ასე რომ არ იყოს, რას დავემსგავსებოდით მაშინ, ხალხი კი არა ბრბო ვიქნებოდით, მაგრამ პრეტენზია და უკმაყოფილება არ ნიშნავს მტრობას, პირიქით, ხალხი, თუ იგი დემოკრატიულ საზოგადოებად ჩამოყალიბებისაკენ მისწრაფულია, მუდამჟამ ფხიზლად უნდა იდგეს, აყენებდეს სამართლიან მოთხოვნებს და დაჟინებით შეახსენებდეს მთავრობას, თუ რისთვის და რატომ აირჩია და დაიქირავა იგი ხალხმა!

სამწუხაროდ, ეს ორი წელია, მას შემდეგ, რაც დამარცხდნენ და უკვე არჩევნებში გამარჯვებული პარტიისაგან შედგა ახალი მთავრობა, ნაციონალებმა დაკარგეს მოსვენება, რითაც კიდევ უფრო გამოამზეურეს თავიანთი სახე და ხასიათი. უფრო გაბოროტდნენ. ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი კვლავინდებურად სათავეში არ დგანან და ძალაუფლებას არ ფლობენ. ძალაუფლებას, რომელსაც თავიანთთვის კაპიტალის მოსახვეჭად „სამაგალითო“ მოხერხებულობით იყენებდნენ. პარტია, რომელიც ცხრა წელიწადი „მართავდა“ ქვეყანას, რომელიც სათავეში მოსვლისთანავე გაზულუქდა, გაუუცხოვდა და მოწყდა საკუთარ მიწას, სადღაც მაღლა, ღრუბლებში აფრინდა და იმ გადმოსახედიდან ხალხი ბუზებად მოეჩვენა ალბათ, თორემ ასე აბუჩად მათ არ აიგდებდა, ბოლოს, ძნელად, მაგრამ როგორც იქნა მაინც ჩამოაგდეს დედამიწაზე. ამ ჩამოგდებულების, მიწაზე დაშვებულების სახე დღეს უკეთ დაინახა საზოგადოებამ, კარგად დაინახა, რომ გულღვარძლიანთა ამ კრებულს ოპოზიციონერობა არ შეუძლია, ხელისუფლების დაკარგვით გაბოროტებულები, ახლა ქვეყანას მტრულ ძალად მოევლინენ. აშკარად ვნებენ მას თავიანთი მოძრაობებით და იმის მტკიცებით, რომ აი, ჩვენ რა კარგები ვიყავით, როგორ კარგად მიგვყავდა ქვეყნის საქმე, ახლა კი რა უძლური და უქნარა მთავრობა მოსულა და ანგრევს ჩვენს აშენებულსო. დიახ, დღენიადაგ ასე ჩასჩიჩინებენ არა მარტო ჩვენს ხალხს, არამედ მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ევროპას. რას ნიშნავს ეს და რა უნდათ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციონერ ნაციონალებს? ნუთუ ვინმე გონიერს ჰგონია, რომ მთავრობის ასეთი ოპონირება ხელს შეუწყობს ქვეყნის წინსვლას და განვითარებას?

**ხალხისათვის მოულოდნელი არ ყოფილა ყოფილი მერის დაპატიმრება. პირიქით, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებში ნაციონალების დამარცხებას იგი იმიტომ ზეიმობდა, რომ ახალი მთავრობისაგან მოელოდა სამართლიანობის აღდგენას: რაც შეიძლება მალე და სწრაფად პასუხი უნდა ეგოთ ქვეყნის ბიუჯეტის გამფლანგველებს, ბიზნესმენთა დამშანტაჟებლებს და ხალხის ქონების უკანონოდ მიმთვისებლებს. ერთი სიტყვით, სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის მოთხოვნით მოიყვანა ახალი ხელისუფლება სათავეში ხალხმა და ისიც კარგად გვახსოვს, რომ არა მხოლოდ ცალკეული პირების, არამედ ნაციონალური პარტიის გასამართლებასაც მოითხოვდა ხალხი** (საზოგადოების დიდი ნაწილი და არა ხალხის ქონების უკანონოდ მიმთვისებელთა ნასუფრალით კმაყოფილები). ასეთი რამ უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ არ ხდება და რატომ და ვის უნდა გაუკვირდეს, როდესაც სამართლიანობის აღდგენა, დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყეს დღევანდელმა სამართალდამცველმა ორგანოებმა და დაიწყეს ყველაზე მეტად ჩრდილდაკრული პირების საქმეების გამოძიებით. ასეთ დროს, ამა თუ იმ პირის დაკითხვისა თუ დაპატიმრების აქტი ნებისმიერმა ცივილიზებულმა საზოგადოებამ მშვიდ ვითარებაში, შეგნებით, გაგებით და გამოძიების შედეგების მოლოდინით უნდა მიიღოს, მაგრამ, ნაცვლად ამისა, ჩვენ ვხედავთ „კუდ ამწვართა“ საკმაოდ დიდ რაოდენობას, რაც საზოგადოებას ნამდვილად აფიქრებინებს, რომ დამნაშავე მხოლოდ ერთი და ორი ადამიანი როდია, არამედ თურმე მართლაც ყოფილა დამნაშავეთა მთელი კრება( ნუთუ პარტია?).

**სიმართლის ძიება და სამართლიანობის დასამყარებლად გადადგმული ნაბიჯების მონათვლა „ნიშნის მოგებად“ და „შურისძიებად“ — ეს საშინელი გაუნათლებლობა და პროვინციალიზმია. მეტი თუ არა, პროვინციალიზმია ისიც, როდესაც საკუთარ შეცდომებში თუ დანაშაულში ეძებ მაინცდამაინც ვინმე ერთი ადამიანის ბრალს, ადამიანისას, რომელიც ოფიციალურად ჩამოშორდა პოლიტიკას და როგორც თავადვე განგვიცხადა, ნამდვილი მოქალაქის უფლებით (მეც ასე მგონია!) შორიდან უთვალთვალებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ეს ადამიანია ის, ვინც შეძლო და საბოლოოდ დაასრულა ნაციონალების ხელისუფლებაში გახანგრძლივებული ყოფნა. აი, რატომ არის თურმე ნაციონალებისთვის, ამჟამად სოფელ ნატანებში მცხოვრები პიროვნება „ყველაფერში დამნაშვე“.** რა ლოგიკაა, ლოგიკა კი არა, ალბათ, ულოგიკობა, სირცხვილი. ჩუმად მაინც იყონ და თუ რაიმეში ეჭვი ეპარებათ, სასამართლოებს მიმართონ, უხმაუროდ. ხომ ყველამ ვიცით, რომ პოლიტიკაში, ანუ ხალხის მსახურებაში გაწეული „გარჯით“ სწორედ რომ ხალხი დააბეჩავეს და თავად კი კაპიტალისტებად მოგვევლინნენ. ასეთ ადამიანებს მიტინგები და აქციები კი არა შიში უფრო მართებთ საზოგადოებიდან წამოსული რისხვისა, სულ ერთია რომელ მთავრობაში მოღვაწეობდნენ თუ მოღვაწეობენ ისინი- წარსულსა თუ მოსულში.

ვწერ ამ ჩემს ფიქრებსა და მოსაზრებებს და თან ყოველ სიტყვას ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ვსვამ ტექსტში, რაიმე ზედმეტი არ მომივიდეს, მართალი და უცოდველი ძალაუნებურად ცოდვილად არ შევრაცხო, ხომ ვიცი ესეც რომ ადვილად ეხერხებათ ზოგიერთებს, მაგრამ გულს მიმშვიდებს ჩემი თვალით დანახული და ყურით გაგონილი სინამდვილე, მგონი არაფერს ვაჭარბებ. კი, ბატონო, მათი ფიცი გვწამს, მაგრამ ბოლოც ხომ გვაკვირვებს.

ძალიან მწყინს და ნამდვილად ვდარდობ, რომ ასეა დღესაც, დღევანდელ მმართველთა და ჩინოვნიკთა ქმედებებში მამლის მწვანე ბოლოებსაც ვხედავთ. ამ ბოლოებზე მომავალში ერთად ვისაუბროთ, ძვირფასო მკითხველო!

**გულნარა სტურუა**



## მამა დავითი:

# ანაკლიის „კაზანტიპი“ საქართველოსთვის უბედურების მომტანი იქნება

**სასულიერო პირები ანაკლიისკენ ლიტანიობით მსვლელობას აპირებენ. მამა დავით ქვლივიძე მიიჩნევს, რომ ფესტივალი, რომელსაც ელექტრონული მუსიკის ფესტივალს ეძახიან, სინამდვილეში, სოდომ-გომორის ცხოვრების წესის აღდგენაა საქართველოში. მისი თქმით, იქ ენით აუწერელი რამ ხდება, შესვლისას პირდაპირ ხელს აწერ შეთანხმებაზე, რომ ყველას ყველაფერზე დაეთნხმები და არავის არაფერზე უარს არ ეტყვი.**

**ყველაფერ ამის გათვალისწინებით, სასულიერო პირები იმედოვნებენ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ასეთი უმსგავსობის მოწყობას ხელისუფლება არ დაუშვებს, რადგან ეს 17 მაისის ალლუმზე უარესია, 17 მაისი ერთ კონკრეტულ დღეს ჩატარდა, „კაზანტიპი“ კი ერთი კვირის მანძილზე უზნეობის ზეიმია.**

**თუ როგორი კანონები იმოქმედებს „კაზანტიპის რესპუბლიკაში“, ამის შესახებ განმარტებას კაზანტიპის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიკიტა მარშუნოკი აკეთებს. იგი ირწმუნება, რომ არც ერთი სახის ნარკოტიკს არ დაუშვებს, რადგან ფესტივალი საქართველოს ყოფას მოარგეს. მისი თქმით, კაზანტიპელები მასპინძელი საქართველოს კანონმდებლობას და ტრადიციებს პატივს სცემენ, ამიტომ ანაკლიაში ნარკოტოკები არ იქნება. უფრო მეტიც, იგი მზადაა, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ნარკოტიკების მოხმარების შესახებ ტესტი ჩაიტაროს და ამით ქართველების ეჭვები გაფანტოს.**

**მარშუნოკი არ მალავს, რომ „კაზანტიპის“ საქართველოში ჩატარებას ამ ქვეყნისადმი დიდი სიმპათიის მიუხედავად, არასდროს განიხილავდა. თუმცა| მოვლენები მოულოდნელობით განვითარდა და „კაზანტიპის“ საქართველოში ჩატარების ინიციატორად ქართველი პიროვნება გამოვიდა, მისი ვინაობა ყველამ იცის და მას მთელი საქართველო იცნობს, მაგრამ მარშუნოკი მას არ ასახელებს.**

**„კაზანტიპის“ პრემიერ-მინისტრის არტიომ ხარჩენკოს თქმით, ეს პროექტი საქართველოსთვის მომგებიანი იქნება, რადგან ყირიმის მივარდნილი სოფელი პოპოვკა მათ ისეთ ქალაქად აქციეს, სადაც დღეს 220 კერძო სასტუმროა და ვიზიტორთა ნაკადი არ წყდება.**

**„კაზანტიპის“ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პროექტში მონაწილეობის მიღება ქართველი და უკრაინელი გოგონებისთვის უფასო იქნება. ამისთვის მხოლოდ ოფიციალურ ვებგვერდზე დარეგისტრირება და ვიზის აღებაა საჭირო. რაც შეეხება ვიზის ფასს, მისი ღირებულება წელს 175-დან 262 დოლარამდე მერყეობს.**

**ქართველების ნაწილი ამ ღონისძიებას გარყვნილების ფესტივალს უწოდებს და საქართველოში მისი ჩატარების შესახებ ინფორმაციას უარყოფითად აფასებს. რაც შეეხება თავად ანაკლიის მოსახლეობას, ისინიც ქართულ მენტალობაზე საუბრობენ და არ მალავენ, რომ ამ ფესტივალის გამო სინდისის ქენჯნას განიცდიან, თუმცა, ტურისტების რაოდენობის შემცირების გამო ასეთ კომპრომისზე მიდიან.**

**ტურიზმის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ აღნიშნულთან კავშირი არ აქვთ და, უბრალოდ, ფესტივალის მხარდამჭერები არიან.**

**რაც შეეხება „კაზანტიპის“ წესდებას, აღსანიშნავია, რომ „კაზანტიპის“ დახურულ ტერიტორიაზე ჰყავთ ე.წ. მინისტრები (ბედნიერების, მუსიკის, ცეკვის მინისტრები, ხილული და წარმოსახვითი მინისტრები).**

**აქ იმართება ქორწილის ცერემონიალები და კვირაში ერთხელ შეიძლება დაქორწინება. აღნიშნულ ქორწინებას მხოლოდ „კაზანტიპის რესპუბლიკა“ ცნობს და ეს მექორწილეებს არ აფრთხობთ. აქვე ირჩევენ კაზანტიპის დედოფალს, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში მართავს „რესპუბლიკას“. იქაურები არ მალავენ, რომ „კაზანტიპი“ — ეს კულტია.**

**For. ge მამა დავით ქვლივიძეს ესაუბრა.**

**— თქვენ აცხადებთ, რომ „კაზანტიპი“ საქართველოსთვის უბედურების მომტანი იქნება. რას გულისხმობთ?**

— ამ ქალაქს შემოსაზღვრული აქვს ტერიტორია, ქალაქ-სახელმწიფოსავით არის მოწყობილი, თავისი „მინისტრები, სამინისტროები“ აქვთ, იმ სამინისტროების სახელები უნდა ნახოთ, რაც არის. ჰყავთ მეფე, სასულიერო პირი და ვითომ ჯვრისწერებს აღასრულებენ. ყველაზე მთავარი, აქ მიდის სიდომ-გომორის მსგავსი გარყვნილი პედოფილია, ზოოფილია. წარმოიდგინეთ, ვინც შედის ამ ე.წ. ქალაქში, დებს ხელშეკრულებას, რომ არავის არაფერზე უარს არ ეტყვის. ასეთმა გარყვნილმა ცხოვრებამ უკრაინელებს დააკარგინა ყირიმი, ასეთი გარყვნილი ცხოვრების გამო სოდომი და გომორი განადგურდა, ასეთი გარყვნილების მიზეზი იყო წარღვნა, ასეთი გარყვნილება გახდება დედამიწაზე მეორედ მოსვლის მიზეზი, საუბარია იმ პერიოდზე, როცა მასობრივი გარყვნილება დაიწყება დედამიწაზე. ტაილანდი ცნობილი იყო თავისი კურორტებით და ამ კურორტებზე პედოფილიის ტურიზმით. ოფიციალურად ეწყობოდა პედოფილიისა და მამათმავლობის ტურები, ერთი კუნძული ჰქონდათ, რომელსაც დაცინვით სამოთხეს ეძახდნენ, ოკეანეში იყო ეს კუნძული და სულ შიშვლები დადიოდნენ ქალები და კაცები, იძახდნენ, რომ როგორც ადამი და ევა სამოთხეში შიშვლები იყვნენ, ჩვენც ასე ვართო. დღეს ეს კუნძული აღარ არსებობს, ეს მოხდა ცუნამის შემდეგ და ამ ცუნამმა რაც დაატეხა ტაილანდს, ყველამ კარგად იცის. 400 ათასი კაცი დაიღუპა. საქართველოში ფესტივალის დაწყებას 20 აგვისტოს აპირებენ, მარიამობის მარხვაში. ეს ალლუმზე უარესია, ის ერთხელ ჩაივლის, ეს კი ათი დღე გრძელდება. სახელმწიფომ ამას ხელი არ უნდა შეუწყოს, ასეთი რამ შაჰ-აბასს არ უკადრებია. „ქართლის ცხოვრებაში“ პირდაპირ წერია, რომ საქართველოს განადგურების მიზეზი იყო ლაშა-გიორგის მიერ გარყვნილი ცხოვრების წესის შემოტანა, ამის გამო დაეცაო საქართველო და კარგა ხანს ველარ გაიმართა. ლაშა-გიორგიმ თამარისდროინდელი დაბრძენებული, ღვთისმოშიში ხალხი ჩამოიშორა, ვისაც თამარ მეფე ჭკუას ეკითხებოდა და გარშემო ქარაფშუტა ახალგაზრდები შემოიკრიბა. ის დაუკავშირდა რინდებს. მათთან ერთად დაიწყო ღრეობა, სიმღერები. რინდები თანამედროვე ლიბერალების მსგავსი ადამიანები იყვნენ. რინდები ღვინოს სვამდნენ, თვრებოდნენ, ქალებში დადიოდნენ. არადა, რინდებისთვის, როგორც მუსლიმანებისთვის ღვინო არ შეიძლებოდა. ლაშა-გიორგის საქციელს მიბაძა მთელმა ერმა. ამის გამო ჩვენი ქვეყანა დაისაჯა, ჯალალედინი შემოგვესია სასჯელად. სწორედ ასე წერია „ქართლის ცხოვრებაში“. მერე მოხდა მიწისძვრა, ვარძიის 2/3 დაინგრა, ამის შემდეგ ცოტა გონს მოვიდნენ ქართველები, რასაც მოჰყვა გიორგი ბრწყინვალის პერიოდი.

**— როგორ ფიქრობთ, ამ ადამიანებმა ფესტივალის ჩასატარებლად რატომ აირჩიეს მაინცდამაინც საქართველო?**

— რატომ აგვირჩიეს მაინცდამაინც ჩვენ? ბიბლიაში არის ასეთი ეპიზოდი, როდესაც ებრაელები ეგვიპტელთა მონობისაგან გამოვიდნენ, მათ ადგილობრივ ტომებთან ბრძოლა მოუხდათ. მოაბის მეფე ბალაკმა გადაწყვიტა, ისრაელელთათვის ბრძოლა, ამისთვის დაუძახა ცნობილ მოგვს, ჯადოქარს ბალაამს და უთხრა, დაწყევლე ებრაელები, რათა მათ ბრძოლა მოვუგოთო. ჯადოქარმა ეს ვერ გაკეთა, ესენი ღმერთის ხალხია და ღმერთი ფარავსო. თქვენ თუ გინდათ, ისრაელელთ მოუგოთ, ისინი ცოდვაში უნდა ჩააგდოთ, ამით ღმერთს დასცილდებიან და უღმერთოდ დარჩენილებს დავამარცხებთო. მართლაც, მისი რჩევით, ისრაელელთა ბანაკში შეგზავნეს მეძავი ქალები, ებრაელებმა იმრუშეს, დაეცნენ და სასტიკად დამარცხდნენ. ბიბლია ასე მოგვითხრობს, ჩვენთვის ბიბლია სამაგიდო წიგნია და ძველი აღთქმა მარტო ჩვენი არ არის, ამ ძველ აღთქმას ეყრდნობიან იუდეველებიც და მუსლიმანებიც. ეს ყველამ კარგად იცის, რომ სიკვდილის მიზეზი არის ცოდვა. მეშინია, რომ ასეთი მოქმედებებით სამეგრელო არ ჩამოსცილდეს საქართველოს და ღვთის რისხვა არ დაატყდეს თავს.

**— ანაკლიის ადგილობრივი მოსახლეობა გაურკვევლობაშია. იქაური მართლმადიდებლები ფიქრობენ, რომ სულიერი თვალსაზრისით, ეს მათთვის ზიანის მომტანი იქნება, მაგრამ ტურიზმიდან შემოსულ თანხებსაც ვერ ელევიან.**

— ტურიზმიდან აღებული ორი გროშით ვინც რაღაცას შეჭამს, ეს არ იქნება ამის საპირწონე. ეკლესია მათ აუცილებლად აუხსნის და უკვე იწყება იმის ახსნა, მათ ამისთვის რა ელოდებათ. წარმოიდგინეთ, 12 ათასი მეძავი ქალი ჩამოჰყავთ უკრაინიდან, კატასტროფის მასშტაბები ძალზე დიდია და წარმოვიდგინოთ, ჩვენი დოყლაპია პატარა ბიჭები რა დღეში იქნებიან, ჯერ უამრავი ვენერიული დაავადება გავრცელდება, ეს დაღუპავს ქვეყანას.

**— აქამდე რატომ არ მოხდა ამის განმარტება და საპატრიარქოს პოზიცია რატომ არ ჩანდა?**

— ეკლესია აპირებს იქ ლოცვით და ლიტანიობით სიარულს. ჩემი პოზიცია უკვე იცით, ეპისკოპოსების პოზიციაც იცით, მეტი როგორ ავკრძალოთ? დანარჩენი ის იქნება, რომ, ალბათ, ლიტანიობა მოეწყობა, კურთხევა და თხოვნა-ვედრება იქნება, რომ ღმერთმა ეს არ დაუშვას.

**— „კაზანტიპის“ ფესტივალის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ საქართველოს ტრადიციებს პატივს სცემენ, ისიც კარგად ესმით, რომ აქ ნარკოტიკების მიღება იკრძალება. ამდენად, არანაირ ნარკოტიკს არ დაუშვებენ. როგორ ფიქრობთ, ორგანიზატორები შეასრულებენ დანაპირებს?**

— ამის პასუხი ერთადერთია, შედით ინტერნეტში და ნახეთ, რა ხდება ამ ფესტივალის ირგვლივ — ლესბოსელობა, მამათმავლობა, პედოფილია... პატარა, ათი წლის გოგოებს პლაკატები უჭირავთ, სახელწოდებით — „კაზანტიპი“. ეს ბავშვთა გარყვნა არ არის? ჩვენი ქვეყნის მტრებმა იციან, რომ ჩვენი სიძლიერე ღმერთთან ერთობაშია. როგორც ებრაელები უნდოდა, დაეცილებინა მეფე ბალაკს ღმერთისთვის, ზუსტად ასევე იქცევიან ჩვენთან მიმართებით. გარყვნილი ხალხი ღმერთის წინააღმდეგ მიდის. ისინი პირდაპირ ღმერთს აგინებენ და გარყვნილებისაკენ პატარა ბავშვებს მოუწოდებენ.

* * *

**ცნობისთვის, „კაზანტიპის“ 5-მილიონიანი პროექტი 20 აგვისტოს დაიწყება. „კაზანტიპის“ ფესტივალი 1992 წლიდან ეწყობა უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე. თუმცა რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ მან საქართველოში გადმოინაცვლა. ფესტივალი ზაფხულის განმავლობაში, 5-6 კვირა გრძელდება და მას ყოველწლიურად 150 000 ადამიანი, ე. წ. „paradizers“-ი სტუმრობს. ფესტივალთან ასოცირებულია ნარინჯისფერებში გადაწყვეტილი მოდისა და ჩემოდნების კულტი.**

**ფესტივალს სახელი ეწოდა კაზანტიპის კონცხისგან, რომლის სიახლოვესაც ის 1995—1999 წლებში ტარდებოდა. თავიდან ფესტივალი ძალზე მოკრძალებული იყო და მხოლოდ სერფინგის მოყვარულთა ყრილობად ითვლებოდა, რომლებიც მომქანცველი დღის შემდეგ საღამოობით დროს ატარებდნენ. ფესტივალის პრეზიდენტი, შემქმნელი და ინიციატორია ნიკიტა პირველი (ნამდვილი სახელი ნიკიტა მარშუნოკი).**

**მარიამ ლოლაშვილი**

**ალიანჩალიანი**

## პირველი საჰაერო რეისი მესტიაში ჟურნალისტების თანხლებით

**ჩეხური წარმოების L-410 ტიპის თვითმფრინავით თბილისიდან მესტიის მიმართულებით პირველი რეისი შესრულდა.**

**ნატახტარის აეროდრომიდან მესტიამდე 15-ადგილიანი ჩეხური თვითმფრინავით მედიის წარმომადგენლებმა იმგზავრეს, ხვალიდან კი აღნიშნული თვითმფრინავით მგზავრობა ყველა მსურველს შეეძლება.**

**როგორც საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის მოადგილემ აეროპორტების ოპერირების დარგში გიორგი მოლოდინაშვილმა განაცხადა, რეისები კვირაში სამჯერ განხორციელდება და ბილეთის ღირებულება ერთი მიმართულებით 65 ლარი იქნება.**

**მისივე თქმით, ამ მიმართულებებზე რეგულარული ფრენების დანიშვნის ძალიან დიდი მოთხოვნა იყო, რადგან ეს მოსახერხებელია, როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტურისტებისთვის.**

**— ჩვენ ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თვითმფრინავი, არის უსაფრთხო, აბსოლუტურად შეესაბამება ამ რეგიონის ექსპლუატაციის პირობებს და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ავიარეისების შესრულება წარმატებული იქნება, — აღნიშნა გიორგი მოლოდინაშვილმა.**

**ავიარეისები თბილისიდან მესტიამდე საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ხანგრძლივობას — 7-8 საათს 45 წუთამდე შეამცირებს. რეისები კვირაში სამჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს შესრულდება. გაფრენა 11:00 საათზე იქნება, გამოფრენა კი — 14:00 საათზე.**

**ინტერპრესი**

ბაზარი

# ექსპორტიორები ხელოვნურ ბარიერებზე ალაპარაკდნენ

**რუსეთის ბაზარმა ქართული პროდუქციისთვის საზღვრები კიდევ უფრო გააფართოვა და ქართველ ექსპორტიორებსაც ამ მიმართულებით ახალი პერსპექტივები გაუჩნდათ. დღეს ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ ექსპორტის ხელშეწყობაზე... ერთ-ერთი, ვინც ამ სფეროში საკმაოდ წარმატებით საქმიანობს, შპს „ფრუიტილიაა“. როგორც BPN-ს კომპანიის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა ვახტანგ ბეჟიტაშვილმა უთხრა, მათ საქართველოდან სეზონის მიხედვით გააქვთ სხვადასხვა დასახელების პროდუქტი: ვაშლი, ყურძენი, ატამი, ციტრუსები, მწვანილი... ასევე გააქვთ დიდი რაოდენობით შინდი. ვახტანგ ბეჟიტაშვილი ამბობს, რომ წლებია უკვე ამ მიმართულებით საქმიანობს და ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის აღებისას პრობლემებს პირველად წააწყდა. კერძოდ, ატმის რუსეთში გასატანად თითო მანქანაზე დამატებით 500 ევრო მოსთხოვეს. ექსპორტიორთათვის ხელოვნური ბარიერების შექმნას უარყოფენ სურსათის უვნებლობის სამსახურში, თუმცა, როგორც იტყვიან, ფაქტი ჯიუტია. ჩვენ დავუკავშირდით ვახტანგ ბეჟიტაშვილს და ვცადეთ, გაგვერკვია, რა პრობლემებისა და ბარიერების გადალახვა უწევთ რუსულ ბაზარზე მოქმედ ქართველ ექსპორტიორებს:**



— დავიწყებ იმით, რომ რუსეთის ბაზარი ჩვენთვის ისევე, როგორც სხვა ქართველი ექსპორტიორებისათვის, უმნიშვნელოვანესია. ყველამ იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იყვნენ რუსი ექსპერტები, რომლებმაც ჩვენი კომპანიის პროდუქციას დადებითი შეფასება მისცეს. იმ პერიოდში ჩვენ მოვასწარით და რუსეთში დაუბრკოლებლად შევიტანეთ ათას ტონამდე ატამი. ჩვენი პარტნიორებისაგან ახალი შეკვეთებიც მივიღეთ, სამომავლო გეგმებიც დავსახეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ, საქართველოში წავაწყდით პრობლემებს.

**— ვისგან შეიქმნა ეს პრობლემები?**

— ფიტოსანიტარიული სამსახურისაგან, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებაა. გარკვეული საფასურის, კერძოდ, 25 ლარის სანაცვლოდ, ეს სამსახური იძლევა სერტიფიკატს, რომლის გარეშე პროდუქციას ვერსად გაიტან. უკვე წლებია, ამ სფეროში ვსაქმიანობ და ამ საბუთის გამო დაბრკოლება არასოდეს შემხვედრია. ახლა კი, ფიტოსანიტარიულ სამსახურში გადმოგვცეს რომელიღაც ასოციაციის ნომერი („სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა, ექსპორტიორთა და იმპორტიორთა ასოციაცია — ნობათი-2014“) და მათთან შეთანხმება მოგვთხოვეს. ეს არის გაურკვეველი ორგანიზაცია, სადაც გაურკვეველი მომსახურების ნაცვლად ანაზღაურებას გვთხოვენ და ვინც მათთან არ ითანამშრომლებს, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის აღებისას პრობლემები ექმნება. დავუკავშირდი ამ ასოციაციის ხელმძღვანელს გოგი მჭედლიშვილს და შევხვდი კიდეც, საუბარი ჯერ 1000 დოლარიდან დაიწყო, ხოლო შემდეგ 500 ევრო მოითხოვეს, რომელიც იქვე, ასოციაციასთან არსებული შპს-ის ანგარიშზე უნდა გადაგვერიცხა. საქმეს რომ ჩავუღრმავდით, ვერანაირი არგუმენტაცია ვერ წარმოგვიდგინეს, თუ რაში გამოგვადგებოდა მათი სერვისი იმიტომ, რომ მათ გარეშე უკვე ასეულობით ტონა ატამი გვქონდა გატანილი და რუსეთის საბაჟოზე არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. ჩვენ ეს ამბავი გამოვამზეურეთ და უარი ვთქვით საფასურის გადახდაზე. ახლა კი, ისინი ცდილობენ საკადრისი პასუხი გაგვცენ. სწორედ აქედან დაიწყო ჩვენი პრობლემები ფიტოსანიტარიულ სამსახურთან, რომელიც გვაიძულებს ამ ასოციაციასთან ვითანამშრომლოთ.

**— თუმცა, ამ სამსახურის მუშაკები თქვენს მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფენ.**

— მაშ, რით უნდა აიხსნას, რომ თუ ადრე ერთ საათში ვიღებდით სერტიფიკატს, ახლა ამ მარტივ პროცედურას რამდენიმე დღე სჭირდება? მე სპეციალურად შევხვდი სოფლის მეურნეობის მინისტრის მაღალჩინოსნებს, მეგონა, რომ ეს პრობლემა გამოსწორდა, მაგრამ გუშინ დამირეკა ჩემმა წარმომადგენელმა და მითხრა სერტიფიკატის გაცემაზე კვლავაც უარს გვეუბნებიანო. ადრე არასოდეს გვქონია ეს პრობლემა და ახლა რატომ გვაქვს?! ჩემი აზრით, ეს არის უკანონო, კორუფციული სქემა, რომლის გახმაურების გამოც ახლა სამაგიეროს გვიხდიან.

**— ბატონო ვახტანგ, იმედია, რომ ეს პრობლემა მოგვარდება, მაგრამ როგორ გეპყრობიან რუსეთში, ან მათ საბაჟოზე ხომ არ გხვდებათ დაბრკოლებები?**

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ იქ ჯერჯერობით არანაირი დაბრკოლება არ შეგვხვედრია. რუსულ ბაზარზე ჩვენი პროდუქციის რეალიზაციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ძალიან დიდი მოთხოვნაა ქართულ ხილზე, რომელიც იქ თავის ადგილს წარმატებით პოულობს, რადგან ჩვენებური ხილი ეკოლოგიურად სუფთაა და უნიკალური გემოთი გამოირჩევა. როგორც ჩანს, ჩინოვნიკები ატყობენ, რომ ეს ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია და ცდილობენ ამ სფეროში მონოპოლია მოიპოვონ. სხვათა შორის, ჩვენ იქაური ფასებითაც კმაყოფილნი ვართ, თორემ მოგება რომ არ გვქონდეს, ექსპორტსაც შევწყვეტდით. რუსული ბაზარი იმითაც არის მიმზიდველი მთელი მსოფლიოსათვის, რომ იქ საკმაოდ მაღალი ფასებია.

**— თქვენი პარტნიორები რუსები არიან?**

— ჩვენ ჩაგვაქვს პროდუქცია და მას რეალიზაციას რუსეთში რეგისტრირებული კომერციული სუბიექტები უწევენ. იქ ქართული კომპანია რეალიზაციას ვერ შეძლებს, ეს იქაურმა უნდა გააკეთოს. სხვათა შორის, ქართული ხილი ყაზახეთშიც გაგვაქვს, ბელორუსშიც და სხვა ქვეყნებშიც... ჩვენი რუსი პარტნიორებისგანაც ჯერ არანაირი დაბრკოლება არ შეგვხვედრია, პირიქით, ჩვენს ნაწარმზე მოთხოვნა იზრდება, გვირეკავენ და ახალ შეკვეთებს გვაძლევენ. ჩვენთვის რუსულ ბაზარზე არანაირი დაბრკოლება არ არსებობს — ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. იქ მხოლოდ ფიტოსანიტარიული სამსახური გვამოწმებს, წინააღმდეგობა არც საბაჟოს მუშაკებთან გვქონია და არც სახელმწიფო სტრუქტურებთან. საკმაოდ კარგად გვემსახურებიან. რეალიზაციაში ძალიან გვეხმარებიან ეთნიკური ქართველები, ჩვენი ემიგრანტები, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობენ. ძირითადად ისინი არიან ჩართული ჩვენთან პარტნიორულ ურთიერთობაში, თუმცა, ჩვენს პარტნიორებს შორის არიან რუსული კომპანიებიც, რომლებთანაც წარმატებულად ვთანამშრომლობთ. ეს ასოციაცია რომ არ გამოჩენილიყო, ადრე არც ჩვენს ფიტოსანიტარიულ სამსახურთან გვქონია პრობლემა. როგორც ჩანს, მათ „ზემოდან“ ავალებს ვიღაც, რომ დაბრკოლებები შეგვექმნას. ალბათ, შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან ამ საქმით და ყველაფერს დროულად გაარკვევენ, რადგან ძალიან ადვილია იმ კორუფციული სქემის გაშიფვრა, რომლის გამოც ასე ვზარალდებით.

**— როდის განაახლებთ პროდუქციის ექსპორტს რუსეთის ფედერაციაში?**

— ამ ეტაპზე მუშაობა შეჩერებული გვაქვს. ეს იმ ხალხის უკმაყოფილებას იწვევს, რომელიც ხილს გვაბარებს და, რა თქმა უნდა, ჩვენი თანამშრომლების უკმაყოფილებასაც, მაგრამ დამატებით 500 ევროს გადახდა პროდუქციასაც გაგვიძვირებს და ბევრ სირთულესაც შეგვიქმნის, ამიტომ, იძულებული ვართ საქმიანობა დროებით შევაჩეროთ.

**BPN** სოფლის მეუნროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსაც დაუკავშირდა, სადაც გვითხრეს, რომ **მანამდე „ფრუიტილიას“ თავისი პროდუქციის გატანისას პრობლემა არ შექმნია და რომ კონკრეტულად ერთ პარტიას ჰქონდა ნაკლოვანებები და რუსული მხარის მიერ დადგენილ ნორმებს ვერ აკმაყოფილებდა. „კერძოდ, მათი შესაფუთი მასალა არ იყო წესრიგში. როგორც კი მათი პროდუქტი რუსული მხარის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მერწმუნეთ, არანაირი პრობლემა არ ექნებათ. ბრალდებები კი, რომელსაც კომპანია „ფრუიტილია“ გვიყენებს, უსაფუძვლოა,“** — ამბობენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

რეიტინგი

# ვაჭრობის ელექტრონული გზები

**მსოფლიოს მრავალი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, ბეჭდვითი გამოცემა, სხვადასხვა ტიპის კვლევითი ინსტიტუტი თუ სააგენტო, გარკვეული პერიოდულობით (ყოველთვიურად, კარტალურად, წლიურად) რომელიმე კონკრეტული პოზიციის თვალსაზრისით, განსახილველ პერიოდში ქვეყნების ამა თუ იმ სფეროში მიღწეული წარმატებებისა თუ წარუმატებლობის გათვალისწინებით მათ რეიტინგულ სიებს აქვეყნებს. თავისთავად ამ, ასე ვთქვათ, „წარჩინების ფურცლებში“ გარკვეული ოდენობით კონკრეტულ პარამეტრთა ერთობლიობაა გაანალიზებული, მაგრამ მოწინავეებისთვის ამას არანაირი „ოსკარები“ არ მოაქვს. თუმცა კი, საინვესტიციო ფონდი თუ კერძო ინვესტორი მათ გამუდმებულ თვალყურს ადევნებს, მოვლენათა განვითარების დინამიკას აკვირდება და, შესაბამისად, თავისთვის გარკვეული, ხშირად სავსებით კონკრეტული დასკვნები გამოაქვს, რომლებიც შემდგომ უკვე მოკლე ან გრძელვადიან სამოქმედო გეგმებში, სულაც, კონკრეტულ პროექტებში აისახება.**

ერთ-ერთი ასეთი საგულისხმო რეიტინგ-ლისტი ახლახან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული „გლობალური საცალო ვაჭრობის 2014 წლის ინდექსი“, რომელიც საცალო ვაჭრობაში ინვესტორთათვის მეტად საგულისხმოა, კარგი პერსპექტივების მქონე განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნების ნუსხას წარმოადგენს. მასში საცალო ვაჭრობის სფეროს გაფართოების თვალსაზრისით მსოფლიოს ოცდაათი განვითარებადი ქვეყანაა ჩამოთვლილი, რომლებიც ამ სფეროში განვითარების პერსპექტიულობის პოტენციალისდა მიხედვითაა დალაგებული. აღნიშნული რეიტინგის შემადგენლებმა 25 მაკროეკონომიკური და საცალო ვაჭრობასთან დაკავშირებული გარკვეული სპეციფიკური საკითხები გააანალიზებს, რისი მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოტენციურ ინვესტორებს ამ სფეროში მათთვის უფრო მიმზიდველი, განვითარების კარგი პერსპექტივების მქონე ქვეყნების დადგენაში დახმარების გაწევაა.



ევროკავშირსა და საქართველოს შორის ივნისის მიწურულს ხელმოწერილი თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე ყოვლისმომცველი შეთანხმების გათვალისწინებით, „გლობალური საცალო ვაჭრობის განვითარების 2014 წლის ინდექსის“ მნიშვნელობა ჩვენი ეკონომიკისთვის მით უფრო იზრდება, რომ შარშანდელთან შედარებით საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა და ახლა ამ ნუსხაში მეშვიდე ადგილზეა, რაც ერთი პოზიციით წინ წაწევის შედეგია. სიაში საქართველოზე წინ არიან ჩვენზე ეკონომიკის განვითარების დონის გაცილებით წინ მდგარი ქვეყნები — **ჩილე, ჩინეთი, ურუგვაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბრაზილია და სომხეთი.**

საქართველოსთვის რეიტინგით განსაზღვრული მეშვიდე ადგილისთვის მინიჭებულ ქულებს კონკრეტულად თუ განვიხილავთ, ზოგიერთი მათგანი ასე განაწილდა: **მაქსიმალურად შესაძლებელი 100 ქულიდან, გლობალური საცალო ვაჭრობის განვითარების ინდექსმა 55,9 ქულა შეადგინა, მათ შორის, ბაზრის მიმზიდველობის პოზიციით საერთაშორისო ექსპერტების შეფასება 32,4 ქულაა, ბაზრის გაჯერებულობა — 79,6 ქულა, ქვეყნის რისკი— 32,4 ქულა და სხვ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს უახლოეს სამეზობლოში მდგომარეობა ასეთია: მე-6 ადგილზე, როგორც ითქვა, სომხეთია, მე-11 ადგილზე — თურქეთი, მე-12 ადგილზე — რუსეთი, 30-ე ადგილზე აზერბაიჯანი.**

„გლობალური საცალო ვაჭრობის განვითარების 2014 წლის ინდექსს“ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ერთი, რომ იმის თვალნათლივ წარმოდგენას ქმნის, თუ რამდენად მიმზიდველია ესა თუ ის ქვეყანა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით. **შარშან საქართველოს ეკონომიკის მთლიანმა ბრუნვამ 12,109 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც ნახევარზე მეტი — 6,311 მილიარდი ლარი ვაჭრობასა და წვრილი საყოფაცხოვრებო საქონლის შეკეთების წილად მოდის.** ამ ორი მაჩვენებლის უბრალო შედარებითაც კარგად ჩანს, რომ საქართველოში საცალო ვაჭრობის სფეროში სახსრების ინვესტირება მეტად სარფიანი საქმეა, თანაც ეს ტენდენცია წლების მანძილზე დიდი სტაბილურობით ხასიათდება. ამ გარემოებას ის ფაქტიც აძლიერებს, რომ წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და გრანტების მიღების მაჩვენებლები, სახელმწიფო ბიუჯეტის ინდიკატორულ პარამეტრებს საგრძნობლად ჩამორჩება, რასაც წინა პუბლიკაციებშიც აღვნიშნავდით.

არის კიდევ ერთი გარემოება, რაზეც ყურადღების გამახვილება ნამდვილად ღირს. აღნიშნული რეიტინგის ავტორთა ანალიზის თანახმად, საცალო ვაჭრობის სფეროში ინვესტიციების განხორციელებისას, კაპიტალის დამბანდებლები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ საშუალებებს, რაც პოტენციურ ბაზარზე უკეთ და, რაც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, თანამედროვე ბიზნესში, სწრაფად ორიენტირებისა და არსებულ პრობლემებში დროულად გარკვევის შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, სამამულო საქმიანობა წრეებმა ამ ფაქტორსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო, მოლდოვა და უკრაინა კაპიტოლიუმის ბორცვზე

**დიპლომატებმა და პოლიტიკოსებმა ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერა კონგრესში ერთობლივი ფორუმით აღნიშნეს**

**საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის საელჩოებმა სამშაბათს გამართეს ერთობლივი მიღება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის აღსანიშნავად, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში შესვლას. საზეიმო მიღება, რომელიც ორგანიზებული იყო კონრად ადენაუერის ფონდის ხელშეწყობით გახსნა ბუნდესტაგის დეპუტატმა და საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ დოქტორმა ანდრიას შოკენჰოფმა.**



ღონისძიების მონაწილეთა შორის — ვაშინგტონში აკრედიტებული დიპლომატების, პრესის წარმომადგენლებისა და გაერთიანების ექსპერტების, სამი ქვეყნის დიასპორის აქტივისტების მონაწილეობით — იყვნენ აგრეთვე გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსები და კანონმდებლები, რომლებიც ორივე პარტიას წარმოადგენენ: სასენატორო — კომიტეტის დემოკრატები კრის მერფი და ბენჯამინ კარდინი, სენატორი-რესპუბლიკელები ტედ კრუზი და ჯეიმს რიში, კონგრესში რესპუბლიკური უმრავლესობის ლიდერი კევინ მაკარტნი. მიღების პროგრამაში იყო უკრაინის საქართველოს და მოლდოვის ელჩების გამოსვლები.

შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვებით მიმართა აშშ კონგრესის საზღვრგარეთის საქმეთა სასენატო თავმჯდომარემ სენატორმა ედ როისმა.

შემდეგ გამოვიდა მოვლენის კო-სპონსორი, სენატორი — დემოკრატი კენექტიკუტის შტატიდან კრის მერფი, რომელმაც, კერძოდ, თქვა: **„ჩვენი პოლიტიკა უკრაინის, საქართველოს და მოლდოვის მიმართ რჩება თანმიმდევრული და ითვალისწინებს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მხარდაჭერას თქვენს ქვეყნებში.**

**მე განზრახული მაქვს, კონგრესის განსახილველად შევიტანო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს უკრაინის დახმარების ახალ რაუნდს და სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. თქვენს ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ ვაჭრობის თავისუფალი არჩევანი დასავლეთთან და აღმოსავლეთთან პოლიტიკური შეზღუდვების გარეშე“,** — ხაზგასმით აღნიშნა სენატორმა.

კრის მერფიმ შემდეგ თქვა: „გულახდილად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას სწამთ ეგრეთ წოდებული დიდი თამაში, რომელიც გათვალისწინებულია ხანგრძლივ მოგებაზე. ჩვენ ვიცით, რომ წინ დიდი სამუშაო გველის, და ევროკავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად დაგეხმარებათ ეტაპობრივად, რათა ამ სამივე ქვეყანამ წაიწიოს წინ ევროკავშირში სრულუფლებიანი წევრობისაკენ“.

ბუნდესტაგის დეპუტატმა ანდრეას შოკენჰოფმა, თავის მხრივ, აღნიშნა:

„ჩვენ გერმანიაში მზად ვართ, ვუპასუხოთ გამოწვევებს, რომელსაც მსოფლიოს ეგზავნის რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. ჯერ ერთი, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რათა შევინარჩუნოთ ერთიანობა ევროკავშირის ქვეყნებს შიგნით, მეორეც, ჩვენ დავეხმარებით ჩვენს ახალ მოკავშირეებს, თქვენი სახელმწიფოების სახით, გახდნენ ნამდვილად ევროპული ქვეყნები.

დღეს მე აქ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ვარ, რათა გავაგზავნოთ სიგნალი — ჩვენ ერთიანი ვართ თქვენი ქვეყნების მხარდაჭერაში, წინსვლაში დემოკრატიისა და თანამშრომლობისკენ ევროპაში, უფრო თავისუფალი, უსაფრთხო და ღია ევროპის შექმნაში, რისი სრულუფლებიანი წევრობისათვის თქვენმა ქვეყნებმა გადადგეს პირველი სერიოზული ნაბიჯები“.

საქართველოს ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერით საქართველო კიდევ ერთხელ ითვალისწინებდა მიდრეკილებას დასავლური ღირებულებებისადმი და კურსს თავისუფლებისაკენ, **„მიუხედავად პირდაპირი დაშინებისა, რომელიც ჩვენი მტრებისგან მოდის“. „ჩვენ გვჯერა, რომ თქვენთან ერთად მივალთ უფრო უსაფრთხო მშვიდობასთან“,** — თქვა დიპლომატმა.

**„სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ, მე ვიყავი კიევში და დავინახე, თუ როგორ იდგა იქ ხალხი მაიდანზე, მიუხედავად ყინვისა და ძალადობის დაშინებისა, იცავდნენ თავიანთ თავისუფლებას. ზუსტად ასევე საქართველოს და მოლდოვის ხალხები თანმიმდევრულად იცავენ თავიანთ თავისუფლებისა და დემოკრატიის ურყევ იდეალებს. მე მივმართავ ამ ქვეყნების მამაც ადამიანებს: ამერიკის ხალხი თქვენთანაა! ჩვენ მოგესალმებით თქვენ და გილოცავთ ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერას“,** — განაცხადა სენატორმა ტედ კრუზმა.

**„დარმწუნებული ვარ: ეს მოგიტანთ აყვავებას და დაგეხმარებათ გადაიტანოთ ამჟამინდელი საშიში დრო. ჩვენ ვხედავთ, თუ რა ხდება უკრაინაში. ჩვენ ვხედავთ კვლავინდელ ოკუპაციას დნესტრისპირეთში. ჩვენ ვხედავთ კვლავინდელ ოკუპაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, ევროპის ამ სამივე ქვეყანაში შენარჩუნებულია დემოკრატიული მთავრობები, ხალხის სამსახური“,** — აღნიშნა ღონისძიებაზე მყოფმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა.

Voice of America

# თბილისში „ვარდების რევოლუციის“ მთავარი იდეოლოგი გარდაცვლილი ნახეს

**რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ექს-ელჩმა თავი მოიკლა**

**საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში ეროსი კიწმარიშვილი ნახეს მკვდარი თავის სახლში. ოფიციალური ვერსიის თანახმად, მან თავი მოიკლა. ბატონი კიწმარიშვილი ცნობილია, როგორც „ვარდების რევოლუციის“ იდეოლოგი, ვისი მეგობრობაც მიხეილ სააკაშვილთან შემდგომ დაპირისპირებაში გადაიზარდა.**

ეროსი კიწმარიშვილის სხეული მისი დაცვის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს სახლის გარაჟში, სადაც იგი ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. ცხედარი იყო ავტომობილში, იქვე აღმოაჩინეს პისტოლეტი, რითაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიით, თავი მოიკლა ქართული პოლიტიკის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ადამიანმა.

**სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა). კიწმარიშვილის ოჯახის წევრები ამტკიცებენ, რომ ის მოკლეს და მას თავი არ მოუკლავს.**

ეროსი კიწმარიშვილი ცნობილია, როგორც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დამფუძნებელი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა 2003 წლის „ვარდების რევოლუციაში“ და ექსპრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დამხობაში. რევოლუციის შემდეგ ბევრი მას ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად მიიჩნევდა მიხეილ სააკაშვილის, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისა და პარლამენტის ყოფილ სპიკერ ზურაბ ჟვანიას ტრიუვირატთან ერთად, რომლებიც ღებულობდნენ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

**სხვათა შორის, პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევიდან მალე კიწმარიშვილი გადადგა საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ხელმძღვნელის პოსტიდან, გაყიდა თავისი წილი ტელეკომპანიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.**

მიხეილ სააკაშვილმა სთხოვა მას, დაბრუნებულიყო 2007 წელს — იმჟამად გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ დაპირისპირების დროს. მეორე ვადით არჩევის შემდეგ პრეზიდენტმა იგი დანიშნა ელჩად რუსეთის ფედერაციაში. კიწმარიშვილმა ეს პოსტი დატოვა მიხეილ სააკაშვილის ანტირუსულ რადიკალურ კურსთან უთანხმოების გამო, ხოლო 2008 წლის „ხუთდღიანი ომის“ შემდეგ ღიად სდებდა ბრალს ყოფილ თანამებრძოლს „სამხედრო ავანტიურის გაჩაღებაში“ და საბოლოოდ გადავიდა მის ოპოზიციაში.

**უკანასკნელ წლებში ეროსი კიწმარიშვილი ცდილობდა, დაებრუნებინა ტელეკომპანია „რუსთავი-2“, თუმცა, წარუმატებლად. მან განიცადა ფიასკო ქალაქ რუსთავში მუნიციპალურ არჩევნებში ივნისში, სადაც კენჭს იყრიდა ქალაქის მერის პოსტზე.**

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



### უკრაინის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ვიდეოს საფუძველზე ამტკიცებენ, რომ უკრაინის მისამართით ისვრიან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან „გრადებს“

სამოყვარულო ვიდეო, რომელზეც რუსეთის გუკოვოდან თითქოსდა მოდიოდეს უკრაინის ტერიტორიების დაბომბვა, გამოქვეყნდა სოციალურ ქსელებში. ფურცლები, რომლებიც შექმნილია როსტოვის ოლქის მცხოვრებლების მიერ, უკვე წაშლილია, მაგრამ ვიდეორგოლები შენარჩუნებულია. პედანტურმა გამომყენებლებმა ყურადღებით შეისწავლეს რგოლის ასლები და რუკები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ უკრაინელი ჟურნალისტების დასკვნები არასწორია.

### გრიგალ „რამასუნის“ მსხვერპლთა რიცხვი ფილიპინებზე 38 კაცამდე გაიზარდა

ჯერ კიდევ 8 კაცი ითვლება უგზოუკვლოდ დაკარგულად ქვეყანას თავსდატეხილი სტიქიური უბედურების შედეგად. დანგრეულია 7 ათასზე მეტი სახლი, დაახლოებით 20 ათასი სახლი დაზიანდა. 530 689 კაცი ევაკუაციის ცენტრში იმყოფება. ტაიფუნი მიემართება ჩინეთის სამხრეთის სანაპიროსკენ.



### სამხრეთ კორეაში დაიმსხვრა შვეულმფრენი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ბორან „სევოლის“ ძებნაში: დაღუპულია ხუთი კაცი

შვეულმფრენი ბრუნდებოდა კვანჯუში სახანძრო ნაწილში მას შემდეგ, რაც მონაწილეობას ღებულობდა 11 კაცის ძებნის ოპერაციაში, რომლებიც უგზოუკვლოდ დაიკარგნენ ბორან „სევოლის“ დაღუპვის დროს, ბორანი ჩაიძირა აპრილში და 290-ზე მეტი კაცის სიცოცხლე შეიწირა. საჰაერო ხომალდის კატასტროფის დროს დაიღუპა სახანძრო სამსახურის ყველა ოფიცერი, რომლებიც ბორტზე იმყოფებოდნენ.

### პუტინი ბრაზილიიდან: რუსეთი, როგორც სხვა არავინ, დაინტერესებულია უკრაინაში სისხლისღვრის შეწყვეტით

ამერიკის შეერთებული შტატები კი, პირიქით, უფრო „უბიძგებს“ უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას გააგრძელოს ძმათამკვლელი ომი და დამსჯელი ოპერაციები“. „ასეთ პოლიტიკას პერსპექტივა არ გააჩნია“, — დაასკვნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, როდესაც ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხებდა.



ქველმოქმედება

# ხაშურის ხანდაზმულთა ცენტრი მომსახურების სპექტრს აფართოებს

**მესამე წელია, ხაშურში მუშაობს ხანდაზმულთა მომსახურების დღის ცენტრი, რომელიც გახსნა ჩეხეთის დევნილთა დახმარების ორგანიზაციამ (OPU). ცენტრში მოსახლეობას შეუძლია სარეაბილიტაციო მოწყობილობების იჯარით მიღება, სამრეცხაო და სამკერვალო სახელოსნოთი სარგებლობა, გახსნილია სალონი, სადაც შესაძლებელია პირადი ჰიგიენის, სტილისტისა და პედიკიურის სპეციალისტის მომსახურება, აგრეთვე იურიდიული და სოციალური კონსულტაციების მიღება. ცენტრს აფინანსებს ჩეხეთის სააგენტო საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.**

**ცენტრს რეგულარულად სტუმრობს 30 ადამიანი, რომელიც აქ თავისუფალ დროს ატარებს. მონაწილეობს სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში და იღებს იურიდიულ და სოციალურ კონსულტაციებს, სარგებლობს ცენტრში არსებული საპარიკმახეროს, პედიკიურისა და სამრეცხაოს მომსახურებით. წინა წლიდან ცენტრში მოქმედებს პირადი ჰიგიენის ცენტრიც, სადაც ხანდაზმულ და ინვალიდ მოსახლეობას შეუძლია მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურება, კვირაში ერთხელ ისინი გადაჰყავთ ცენტრში შხაპის მისაღებად.**

ცენტრის განუყოფელი ნაწილია სარეაბილიტაციო მოწყობილობების იჯარით გაცემა, სადაც ხანდაზმულებისათვის, ინვალიდებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომია ინვალიდის ეტლების, ხელჯოხებისა და ყავარჯნების იჯარით გაცემა. წინა წლიდან ყველა მომსახურება გახდა ფასიანი. როგორც დევნილთა დახმარების ორგანიზაციის დირექტორი მარტინ როზუმეკი ბრძანებს: ***„ვინაიდან მიმდინარე წელს ჩეხეთის სააგენტოს განვითარების მხარდაჭერის პროგრამის მიერ შეწყდება ფინანსური დახმარება და ცენტრი უნდა გადავიდეს თვითდაფინანსებაზე, ჩვენ ფასიანი გავხადეთ ცენტრის ყველა მომსახურება. ჩვენი ეჭვი, რომ ამის შემდეგ მოსახლეობა აღარ ისარგებლებლებდა მომსახურებით, არ გამართლდა. ადგილობრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ფასიან მომსახურებაზე გადასასვლელად, ჩვენ ვმუშაობთ საქართველოში, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „გვირილას სახლი“. ჩვენ მივმართეთ ადგილობრივ კერძო მეწარმეებს თხოვნით ჩვენი საქმიანობის მხარდასაჭერად. ძალიან მადლობლები ვიქნებით ნებისმიერი სარეაბილიტაციო მოწყობილობების (თუნდაც მეორადების) შემოწირულობაზე.“***

წლეულს ჩეხეთის ლტოლვილთა დახმარების ორგანიზაციის პრიორიტეტი იქნება ორი მცირე მეწარმეობის პროექტების დაფინანსება. პირველი პროექტი გახლავთ ტურისტებისათვის ჰოსტელის გახსნა ივლისში, რომელიც განლაგდება ცენტრის განცალკევებულ ნაწილში, მეორე პროექტის მიმართულება კი შემოდგომაზე განისაზღვრება.

პროექტის კოორდინატორი საქართველოში მარინა მეშვილდიშვილი აცხადებს, რომ, ***„ცენტრის წარმატებული მუშაობისთვის საჭიროა ეფექტური რეკლამა. წინა წლიდან გაშვებულია ცენტრის ვებსაიტი www.gvirilassakhli.ge, ცენტრის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ღია კარის დღის მეშვეობითაც, რომელსაც ყოველ წელს სტუმრობენ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები და ჟურნალისტები. ვფიქრობთ, რომ „გვირილას სახლის“ ახალი ჰოსტელი იქნება საინტერესო და არატრადიციული ალტერნატივა ევროპელი ტურისტებისთვის.“***

*შემოდგომით ცენტრის მუშაობაში დაგეგმილია სტუდენტ მოხალისეთა ჩართვა, რომლებიც ემზადებიან სოციალური სამსახურისთვის.*

დევნილთა დახმარების ორგანიზაცია დაარსდა 1991 წელს. მისი მისიაა დევნილთა დახმარება, ლტოლვილის სტატუსის მატარებლის დახმარება საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, რომელიც ცხოვრობს ჩეხეთის რესპუბლიკაში. საქართველოში ორგანიზაცია მუშაობს 2006 წლიდან. მისი პროექტის პარტნიორები საქართველოში არიან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (**GYLA**) და კავშირი „მომავლის ცხინვალი“.

### კონტაქტები:

**საქართველო:**
კავშირი „მომავლის ცხინვალი“
მარინა მეშვილდიშვილი
თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზირი 1/43
ტელ.: (+995) 599 107 011
**marina@tskhinvali.org.ge**

**ჩეხეთის რესპუბლიკა**
ლტოლვილთა დახმარების ორგანიზაცია (OPU)
ჰანა ნათიძეოვა
ლეიტნეროვა 9, 602 ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა
ტელ.: (+420) 543 210 443, მობ.: (+420) 608 047 293
**hana.natidzeova@opu.cz**
**www.opu.cz**

ჩვენებურები

# ხატია ბუნიათიშვილი „კარნეგი ჰოლში“


Jennifer Taylor

**120 წელზე მეტია, რაც სამუსიკო სამყაროს ყველაზე პრესტიჟული საკონცერტო სივრცე — „კარნეგი ჰოლის“ დარბაზები გამოჩენილ კომპოზიტორებს, კლასიკური თუ თანამედროვე მუსიკის შემსრულებლებს თავის სცენას სთავაზობს. აქ გამოდიოდნენ გუსტავ მალერი, ვლადიმირ ჰოროვიცი, მარია კალასი, ენრიკო კარუზო, ბილი ჰოლიდეი, ბენი გუდმანი, ლაიზა მინელი. „კარნეგი ჰოლში“ შედგა დვორჟაკისა და გერშვინის ნაწარმოებების მსოფლიო პრემიერა, აქ უკრავდნენ მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული ორკესტრები — ნიუ იორკის, ბოსტონის, ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრები; დირიჟორობდნენ არტურო ტოსკანინი და ლეოპოლდ სტაკოვსკი; უკრავდნენ არტურ რუბენშტეინი და ვან კლაიბარნი. „კარნეგი ჰოლს“ თავისი სცენა არაერთი ქართველისთვის დაუთმია, მათ შორისაა პიანისტი ხატია ბუნიათიშვილიც, რომელიც ლისტის, რაველის, შოპენისა და სტრავინსკის ნაწარმოებებით წარსდგა და როგორც პროფესიონალმა შემფასებელებმა აღნიშნეს, დიდი წარმატებითაც. ამის დასტურია კარნეგი ჰოლში გამართული კონცერტისას კრიტიკოსებისა თუ მუსიკის მოყვარულთა ერთსულოვანი ოვაციებიც. ხატიამ ბისზე ჰენდელის მენუეტი და პროკოფიევის მე-7 სონატის მე-3 ნაწილი შეასრულა.**

— პირველად „კარნეგი ჰოლში“ (Zankel Hall) 2008 წელს ორკესტრთან ერთად დავუკარი, — ამბობს ხატია. — თუმცა, „კარნეგი ჰოლთან“ ნამდვილ თანამშრომლობად (როდესაც მოწვევა თავად „კარნეგი ჰოლიდან“ მოვიდა), 7 აპრილის კონცერტს ვთვლი. თანამშრომლობა ისევ გრძელდება...

**— „კარნეგი ჰოლისთვის“ საკონცერტო პროგრამა როგორ შეარჩიეთ?**

— პირველი მნიშვნელოვანი წარდგენისთვის შევარჩიე პროგრამა, რომელიც ჩემთვის ორგანულია. კერძოდ, რეპერტუარი, რომელიც გამოირჩევა დრამატურგიული მნიშვნელობით, კომპლექსური პიანისტური სირთულეებითა და მრავალფეროვნებით.

**— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საფორტეპიანო კონკურსები?**

— კონკურსებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ყველა კონკურსი ჩემი ცხოვრების გარკვეული ეტაპია, რომელიც ერთ დღეს, საკმაოდ მალე, ჩემივე ნებით დავასრულე.

**— თქვენ პარიზში ცხოვრობთ. შეესაბამება თუ არა ნიუ იორკი (გნებავთ, მუსიკალური ნიუ იორკი) თქვენს მოდუსს და იცხოვრებდით თუ არა აქ.**

— ძალიან მიყვარს ნიუ იორკი. მომწონს ამ ქალაქის აქტიური, შემოქმედებითი პულსი და კოსმოპოლიტური ატმოსფერო. ნიუ იორკში სიამოვნებით ვიცხოვრებდი. ვიცნობ ბევრ ამერიკელ პიანისტს, თუმცა, მათ ძირითადად მხოლოდ ფესტივალებზე ვხვდები. ვმეგობრობ სტივენ კოვასევიჩთან.

**— ფრანგი კომპოზიტორებიდან ვინ გიყვართ?**

— ფრანგი კომპოზიტორებიდან განსაკუთრებით რაველი მიყვარს. ინსტრუმენტალისტებისგან გამოვყოფდი ივრი გიტლისს, რომელიც ჩემი საყვარელი მევიოლინეა და ასევე ძალიან ძვირფასი მეგობარი.

**— მართა არგერიჩი თქვენთვის მნიშვნელოვანი პიანისტია. რას ისწავლიდით მისგან და რას გაუზიარებდით მას?**

— მისგან უკვე ვისწავლე, რომ ყველაფერი განსაკუთრებული, უნიკალური და განუმეორებელია. ის, ვინც მას პირადად არ იცნობს, მხოლოდ Diva-დ აღიქვამს. რეალურად ძალიან თბილი ადამიანია, უყვარს ადამიანები და გულთან მიაქვს ნებისმიერი სახის უსამართლობა. მასთან საუბარი შეიძლება როგორც პირად ცხოვრებაზე, ასევე გლობალურ პრობლემებზეც. ორივეს გულდასმით მოისმენს და თანაგიგრძნობს.

**— ინსტრუმენტთან თქვენი ენერგეტიკა ისევე იგრძნობა, როგორც არტისტული ტემპერამენტი. როგორ ანაწილებთ ენერგიას, რათა იგი ყველა ნაწარმოებზე „გეყოთ“?**

— არ ვანაწილებ, ბოლომდე ვიხარჯები.

**— რატომ შეარჩიეთ შოპენის სონატა № 2, რომელსაც „სამგლოვიარო მარშსაც“ უწოდებენ? პირადად ჩემთვის (და არა მარტო) იგი სევდიანი 1990 —იანების ასოციაციასაც იწვევს. თქვენ როგორ იხსენებთ ამ წლებს და როგორ ფიქრობთ, რა იყო ეს პერიოდი ზოგადად ქართველი ხელოვანებისთვის?**

— მეორე სონატა ახალგაზრდა ადამიანის მიერ აღქმული მრავალფეროვანი ცხოვრების რთული გზის, სიკვდილისა და სიკვდილის შემდგომ გაჩენილი სიცარიელის სურათებია. ეს ყველაფერი გაჟღენთილია სასოწარკვეთილებით. 90-იანი წლები ტყუილად არ მოგაგონდათ. პოლონეთმაც გაიარა ის სირთულეები, რომლის წინაშეც საქართველო დღესაც დგას. 90 —იანი წლებში ბავშვი ვიყავი. ეს იყო შიშის, დაუცველობის, ქაოსის, ნავთქურის, სანთლების, მშობლების ყოველდღიური საზრუნავის (თუ სად ეშოვათ ელემენტარული შემოსავალი) წლები.

**— რას არ დაუკრავდით არასდროს?**

— არასდროს არ დავუკრავდი Crossover-ს. თუმცა, never say never.

**— არსებობს მოსაზრება ნაწარმოების ქალური და კაცური შესრულების მანერის/სტილის/ჟღერადობის შესახებ. რამდენად იზიარებთ ამგვარ „გენდერულ დიფერენციაციას“?**

— გენდერულ დიფერენციაციას არ ვიზიარებ, მხოლოდ ინდივიდუალურ დიფერენციაციას.

**— თქვენი გეგმები 2014/15 წლებისთვის?**

— ამ პერიოდის განრიგი სოლო და სიმფონიურ ორკესტრთან კონცერტებით ძალიან დატვირთულია. ასევე კამერული მუსიკისა და ჩემს დასთან გვანცა ბუნიათიშვილთან დუეტის საღამოებით. საქართველოში



ჯერჯერობით არაფერი მაქვს დაგეგმილი. ძირითადი ნაწილი კონცერტებისა ჩატარდება ევროპასა და ამერიკაში. მცირე რაოდენობით — აზიასა და ავსტრალიაში. ასევე იგეგმება ჩემი ახალი ალბომის გამოსვლა, რომელსაც დედას ვუძღვნი. ჰქვია „Motherland“.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ იორკი, აშშ**

ალიანჩალიანი

# ტარიფის შესაძლო მატებას სემეკ-შიც უარყოფენ

**საქართველოს** ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია სს „ენერგო პრო ჯორჯიასთვის“ სამომხარებლო ტარიფების შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით ბოლო დღეებში მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას განცხადებით ეხმაურება, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

— საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 15 ივლისს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გაიმართა ფორუმი ელექტროენერგეტიკის სექტორში ახალი სატარიფო მეთოდოლოგიების პროექტებსა და ელექტრონულ ქსელში ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესთან დაკავშირებით. კომისიის ღონისძიების ერთადერთი მიზანი იყო საზოგადოების ფართო ფენებისათვის, მათ შორის, ელექტროენერგეტიკის სექტორში მოქმედი კომპანიებისათვის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, ენერგეტიკოსებისათვის, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და მედიის წარმომადგენლებისათვის გაეცნო პროექტები და პროექტებში ასახული სიახლეები. „ენერგო პრო ჯორჯიას“ სამომხარებლო ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებით კომისიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების მიერ მედიისათვის გაკეთებული კომენტარები წარმოადგენს კონკრეტული პირების მოსაზრებას. კომისია ცალსახად აღნიშნავს, რომ ფორუმზე მსჯელობის თემა არ შეეხებოდა რომელიმე გამანაწილებელი კომპანიისათვის ტარიფის დადგენას ან შეცვლას. კომისია აცხადებს, რომ „ენერგო პრო ჯორჯიასათვის“ სამომხმარებლო ტარიფის შესაძლო მატებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და ამ ეტაპზე ამგვარი პროგნოზების გაკეთება საფუძველს მოკლებულია.

„ენერგო პრო ჯორჯიას“ კომისიაში შემოტანილი აქვს სატარიფო განაცხადი, რომლის განხილვა და ანალიზი მიმდინარეობს კომისიის აპარატში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. ტარიფის გაანგარიშება მოხდება ახალი სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ცალსახად გამჭვირვალე და სამართლიანი ტარიფის დადგენას. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და სრულად იღებს პასუხისმგებლობას ტარიფის გაანგარიშების პროცესზე. ამასთანავე, სისტემატურად უზრუნველყოფს მოსახლეობას შესაბამისი ინფორმაციებით, — ნათქვამია განცხადებაში.

ჭიდაობა




# ვერცხლი — ფინიშზე

**სლოვაკურ სნინაში დამთავრდა ჭაბუკ ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ორი ოქროთი და ერთი ბრინჯაოთი დაწყებული ასპარეზობა ქართველებს შეეძლოთ ოქროთი დაესრულებინათ, მაგრამ მიზნის მისაღწევად ბათუმელ ლერი აბულაძეს (46 კგ) მცირედი დააკლდა: ფინალში რუს ვიქტორ ვედერნიკოვთან მინიმალური სხვაობით — 1:2 დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა.**

არადა, 14 წლის აბულაძემ, რომელმაც წლეულს საქართველოს ჩემპიონობა არა მხოლოდ ჭაბუკებში, არამედ ახალგაზრდებშიც მოიპოვა, სნინაში წინასწარი შეხვედრები დამაჯერებლად მოიგო — სამივე ორთაბრძოლა ვადამდე დაასრულა: მეტოქეები ჩოქბჯენში გადაიყვანა და იქამდე ატრიალა, სანამ 8-8 ქულა არ აართვა. სწორედ ასე სძლია ინდოელ რავინ რავინის ერთ წუთში, ირანელ პოუვა ნასერპოურს წუთნახევარსა და ნახევარფინალში მოლდოველ ლიჰაილ პეტიჩს ერთ წუთში. რუსთანაც კარგად იჭიდავა: დგომში ორჯერ გააფრთხილებინა მსაჯს. სამწუხაროდ, ჩოქბჯენში თავისი კოზირი ვერ გამოიყენა და, როგორც ვთქვით, ვერცხლის მედალს დაჯაბულდა.

შაბათ-კვირას სნინაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ.

**გივი გაგუა**

ფეხბურთი




# უკუნი ზაფხულში

**არ წყდება დავა ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რაოდენობის გაზრდის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ვთქვათ სიმართლე — არგუმენტები ორივე მხარეს აქვს, მათ შორის შიგადაშიგ — საფუძვლიანიც, მაგრამ საკითხავია:** სად არის ის ოპტიმალური რეცეპტი, რომელმაც ქართული ფეხბურთი ჭაობიდან უნდა ამოათრიოს? ალალად გიპასუხებთ — მე, რიგითი ქომაგი, გამოსავალს ჯერჯერობით ვერ ვხედავ დარწმუნებული ვარ, ვერც ბევრი სხვა. ამასობაში კი სეზონი სეზონს მისდევს, იმედებიც იმსხვრევა და იმსხვრევა.

**ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო რაუნდი**

**„დინამო“ (თბილისი) — „აქტობე“ (ყაზახეთი) 0:1**

თბილისის „დინამოს“ სათავეში მოსვლისთანავე რომან ფიფიამ გეზი უცხოელ ლეგიონერებზე აიღო, მაგრამ სანუკვარ მიზანს — ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლას მაინც ვერ მიაღწია. ვერ გეტყვით, იმედგაცრუებისა თუ სხვა მიზეზის გამო „თეთრ-ლურჯთა“ პრეზიდენტმა კურსი შეცვალა და ახლა უკვე ნიჭიერ ახალგაზრდობაში ეძებს დასაყრდენს. მართალია, შედეგი ჯერჯერობით არც ამჯერად ჩანს, მაგრამ ოპტიმისტებს რა გამოლევს. რაც შეეხება ყაზახებთან სასტარტო ბრძოლას, უნდა ვაღიაროთ, რომ სტუმრებმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. აქ საქმე მხოლოდ ტაბლოში არაა — უმცროსი გაზაევის გუნდს მწვრთნელის ხელი ეტყობოდა. არადა, იგი ახლახან დანიშნეს პასუხსაგებ პოსტზე.

ჩვენ კი... ეჰ, ეტყობა ჩვენ კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს სხვათა ოსტატობით ტკბობა.

**გია პლატონიშვილი**

წყალბურთი

# თავს ზემოთ ძალა არ არის

**უნგრეთის დედაქალაქში გრძელდება წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი. ერთდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ნაკრებს ტიტულებით დახუნძლული გამომცდელი ჰყავდა — სამ-სამგზის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების გამარჯვებული, ოთხგზის ევროპის ჩემპიონი იტალია.**

**იტალია-საქართველო 15:5 (3:2, 5:1, 5:1, 2:1).**

**იტალია.** ტემპესტი, დი ფულვიო (2), ველოტო, ფილიოლი (1), ჯორჯეტი (2), ფონდელი (2), ჯიაკოპო, გალო (1), ფიმარი (3), ლუონგო, აიკარდი (3), ბარალდი (1), დელ ლუნგო.

**საქართველო.** ჭუმბურიძე, ქავთარაძე, ცრეპულია, ელეზი (1), რუსიშვილი, ელაჩა (2), ხვედელიანი, ბაღათურია, რურუა, გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი (1), ფრანიჩევიჩი (1), კაპანაძე. მწვრთნელები- ისელიძე და პოპოვიჩი.

მატჩი აპენინელთა შეტევებით დაიწყო და პირველივე წუთზე გახსნეს ანგარიში (აიკარდი). საპასუხო იერიში ფრანიჩევიჩმა გოლით დააგვირგვინა და წონასწორობა აღადგინა. მერე ისევ იტალიელებმა იყოჩაღეს და ფიმარიმ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. ჩემპიონატის დებიუტანტმა ქართველმა წყალბურთელებმა ელეზის გოლის წყალობით მეორედ გაათანაბრეს ანგარიში — 2:2. პირველი პერიოდის მიწურულს ჯორჯეტიმ ისევ დააწინაურა იტალიელები. მეორე და მესამე რვაწუთიან მონაკვეთებში აპენინელების უპირატესობა აშკარა იყო. მატჩის ბოლო მონაკვეთში ჩვენმა წყალბურთელებმა უკეთ ითამაშეს, მაგრამ პაექრობა მაინც, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი სხვაობით - 5:15 დათმეს.




დღეს ევროპის ჩემპიონატზე ისევ დასვენების დღეა, ხვალ კი საქართველოს ნაკრები რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

**ლექსო ცინცაძე**

ავტოსპორტი

# ფეტელი ტიტულზე ხელის ჩაქნევას სისულელედ მიიჩნევს

**მიუხედავად იმისა, რომ არც შესაფერისი მანქანა აქვს და მუდმივად თანაგუნდელი დანიელ რიკარდოს ჩრდილშიც იმყოფება, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი სებასტიან ფეტელი მაინც ამბობს, რომ სანამ ტიტულის შენარჩუნების მათემატიკურ შანსსაც დაკარგავს, ამ სეზონის ტიტულზე ხელის ახლავე ჩაქნევა სისულელე იქნება.**

ცხრა რბოლის შემდეგ ფეტელი ჩემპიონატის ლიდერ ნიკო როსბერგს 95 ქულით ჩამორჩება, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ დარჩენილ რბოლებში მაქსიმუმ 275 ქულის აღებაა შესაძლებელი, რაც აძლევს კიდეც ფეტელს ოპტიმიზმის საფუძველს. აქედან 50 ქულის აღება ბოლო რბოლაშია შესაძლებელი, რომელსაც აბუ დაბი უმასპინძლებს.

ფეტელი ამბობს, რომ ამ ეტაპზე ის ჩემპიონობაზე საერთოდ არ ფიქრობს და „რედ ბულთან“ ერთად კრიზისის დაძლევაზეა ორიენტირებული, ბოლოს კი გამოჩნდება, რისი შანსი ექნება. თუ მოხდა სასწაული და დომინანტ „მერსედესთან“ და მის პილოტებთან ჩამორჩენის შემცირებას შეძლებს, მერე გამორიცხული არაფერი იქნება.

„თუ ქულებს გადახედავთ და გამოითვლით, გამოჩნდება, რომ ჯერაც ვიბრძვით მსოფლიოს ჩემპიონობისთვის. ასე რომ, სისულელე იქნება, თუ ვიტყვით — ჩვენ ბრძოლას გამოვეთიშეთ. რეალისტები თუ ვიქნებით, „მერსედესს“ ყველა დარჩენილი რბოლის მოგება შეუძლია. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ისინი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გააკეთებენ ამას. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მალე დავეწიოთ და დავამარცხოთ ისინი, მაგრამ ჩამორჩენა ძალიან დიდია და მოკლე დროში ეს შეუძლებელი იქნება. საერთოდ, სეზონის მსვლელობისას ჩემპიონობაზე ფიქრი არც ადრე მჩვეოდა. მიზნებს რბოლიდან რბოლამდე ვისახავ და ვცდილობ, მაქსიმალურად გამოვიყენო ჩემი და მანქანის შესაძლებლობები“, — ამბობს მოქმედი ჩემპიონი.




მისგან განსხვავებით, ტიტულზე ხელი უკვე ჩაიქნია ფერნანდო ალონსომ, ვინც ფეტელს 17 ქულით უსწრებს და მასზე ორი ადგილით წინაცაა. თუმცა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს პესიმიზმის საბაბს ის გარემოება აძლევს, რომ „მერსედესის“ მანქანები მეტისმეტად სწრაფებია. „ჩემი აზრით, თუ როსბერგის და ჰამილტონის გარდა ვინმე გეტყვით, რომ ამ სეზონში ჩემპიონობის იმედი კვლავაც აქვთ, ეს ტყუილი იქნება. მე კი ტყუილის თქმა არ მიყვარს“, — ბრიტანეთის დიდი პრიზის შემდეგ განაცხადა ალონსომ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# ანდრეა რინკონისათვის კოლუმბია ჩემპიონია

**პოპულარული კოლუმბიელი მოდელი ანდრეა რინკონი მისი მშობლიური ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების თავგადაკლული გულშემატკივარია და სტადიონზე ამ მშვენიერი მდედრის დანახვის ბედნიერება კოლუმბიის ნაკრების მამრ ქომაგებს არაერთხელ მისცემიათ.**

ანდრეა რინკონი მოდელის გარდა ასევე ცნობილი მოცეკვავეცაა და მას საკუთარი ძალები არაერთხელ გამოუცდია ჩვენში ესოდენ პოპულარულ შოუში “ცეკვავენ ვარსკვლავებში“, რომლის ანალოგიც მთელს ლათინურ ამერიკაში განსაკუთრებულად ცნობადი გადაცემაა.

რინკონი აღიარებს, რომ მუნდიალზე მისი საყვარელი ნაკრების ბრაზილიასთან მარცხმა ძალიან დასწყვიტა გული, თუმცა მის თვალში კოლუმბიის ეროვნული გუნდი უკვე ჩემპიონია და დარწმუნებულია, რომ კოლუმბია ბრაზილიის მსგავსად ნახევარფინალში თავს არ შეირცხვენდა. ვინ იცის...

**როსტომ რაჭველიშვილი**



მუნდიალის შემდეგ

# ფიფას რეიტინგი: დიდი ცვლილებები, საქართველო კი ისევ 96-ეა




**საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგში 96-ე ადგილზე დარჩა — კონგოსა და ზიმბაბვეს შორის, ხოლო მხოლოდ ევროპული ქვეყნები რომ ავიღოთ, 42-ე ადგილზეა.**

რეიტინგში დიდი ცვლილებები მოხდა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. რა თქმა უნდა, გერმანია პირველ ადგილზე გადავიდა, ხოლო ესპანეთის ნაკრები, რომელიც 5,5 წლის განმავლობაში პირველი იყო, უკვე მერვე პოზიციაზეა.

აქვე საუკეთესო ოცეულს გთავაზობთ და ასევე იმ ნაკრებების პოზიციებს, რომლებიც საქართველოს მეტოქეები იქნებიან შესარჩევ ჯგუფში. გიბრალტარი ფიფას რეიტინგში ჯერ არაა შეყვანილი.

1 (2). გერმანია — 1724, 2 (5). არგენტინა — 1606, 3 (15). ჰოლანდია — 1496, 4 (8), კოლუმბია — 1492, 5 (11). ბელგია — 1401, 6 (7). ურუგვაი — 1330, 7 (3). ბრაზილია — 1241, 8 (1), ესპანეთი — 1229, 9 (6). შვეიცარია — 1216, 10 (17). საფრანგეთი — 1202, 11 (4). პორტუგალია — 1148, 12 (14). ჩილე — 1098, 13 (12). საბერძნეთი — 1091, 14 (9). იტალია — 1056, 15 (13). აშშ — 989, 16 (28). კოსტა რიკა — 986, 17 (18). ხორვატეთი — 955, 18 (20). მექსიკა — 930, 19 (21). ბოსნია — 917, 20 (10). ინგლისი — 911, 27 (27). შოტლანდია — 734, 61 (69). პოლონეთი - 478, 70 (70). ირლანდია — 440, 96 (96). საქართველო — 338.

**გიორგი შოთაძე**

◎ ო, ენავ ჩემო!

# ისევ პრობლემა!



**არც ისე დიდი ხნის წინათ განვიხილეთ ერთი სამინისტროს სახელწოდების დაწერილობის საკითხი ამა წლის 13 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში „რეგიონული თუ რეგიონალური?“. ახლა დადგა დრო მივხედოთ კიდევ ერთი უწყების – საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს – დასახელებას.**

სანამ უშუალოდ ამ სამინისტროს შევეხებოდეთ, პასუხი გავცეთ ერთ მარტივ კითხვას: შეიძლება თუ არა ისეთი ცნებების თანაარსებობა, როგორც ახლა წამდაუწუმ გვესმის, კოჰაბიტაცია (რაღა გვიჭირს, გრძელდება და ძლიერდება ჩვენი დედაენის მცოცავი ანექსია: თუ 1989 წლისათვის იყო 15 500-ზე მეტი უცხო სიტყვა, ახლა ამ რიცხვმა 27 ათასს გადააჭარბა. ეს ენის გამდიდრება კი არა, დაკნინება და ძარცვაა. მაგრამ ამაზე – შემდგომ), როგორიც არის, მაგალითად, გავარვარებული ფოლადი და ყინული? – რა თქმა უნდა, არა. ასევე ვერ შეეგუებიან ერთმანეთს დინამიკა და სტატისტიკა ამ სამინისტროს სახელწოდებაში – სად განვითარება და სად მდგრადობა?!

**ახლა გავარკვიოთ, რას ნიშნავს განვითარება.** ქეგლის მიხედვით, **განავითარებს** ზმნის 1-ლი მნიშვნელობა ასეთია: **„...უფრო სრულყოფილს გახდის, უფრო მაღალ საფეხურზე აიყანს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს, გააძლიერებს“ (და კიდევ სხვა რამ).**

მდგრადობა რას ნიშნავს? ამავე ლექსიკონის მიხედვით, ეს არის **მყარი, გამძლე (მყარი წონასწორობა).** თვალს თუ გადავავლებთ ა. ნეიმანისა და კ. ჯორჯანელის ქართულ სინონიმთა ლექსიკონებს, აღმოვაჩენთ, რომ ზემოთ მოყვანილ ლექსიკურ ერთეულებს 20-ზე მეტი სინონიმი ჰქონია, ამ უკანასკნელთ კი, თავის მხრივ, – კიდევ უფრო მეტი. ეს არის, მაგალითად, **მტკიცე, მკვიდრი, უცვლელი, ისეთი, რასაც ძვრას ვერ უზამ, უტეხი, სალი, პიტალო, გაბმული, სტაბილური, პერმანენტული** და სხვ.

ბედად ამ წყებაში მივაგენით ჩვენი შემთხვევისთვის ფორმობრივად გამოსადეგ კიდევ რამდენიმე სინონიმს. კერძოდ, ეს არის **განუხრელი, მუდმივი, განუწყვეტელი** და სხვ. მაგრამ ჩამოთვლილ სინონიმთაგან არც ერთი არ არის აუცილებელი, რადგან ამ მახასიათებლებს გულისხმობს თვით ცნება განვითარებისა. და თუ მაინცდამაინც გვინდა სინონიმი დავურთოთ ამ ცნებას, გამოსავალი ის არის, რომ ვიხმაროთ ორად ორი ფორმა – **შეუნელებელი და დაჩქარებული.** ამათგან პირველი გულისხმობს იმას, რომ **არ შევანელოთ განვითარების ტემპი,** და მეორე, – იმას, რომ, თუ შესაბამისი პირობები – სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, ფინანსები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მუშახელი (იცოცხლეთ, ეს არ გვაკლია) – გვაძლევს ამის საშუალებას, **დავაჩქაროთ ამ პროცესის ტემპი.**

სანამ მომდევნო საკითხს შევეხებოდეთ, ბარემ აქვე მოგაწვდით **მდგრადობა-მდგრადის** სწორად გამოყენების ორიოდ მაგალითს: „ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ ღმერთმა, დედამიწის შექმნის შვიდდღიანი ციკლის მესამე დღეს, ტყე მოავლინა, რითაც ადამიანს... მოუმზადა არსებობისთვის საჭირო **მდგრადი** ეკოლოგიური გარემო“ (პროფ. ლ. გვაზავა, „სრ“ 22.XI.13); „ზ) ხელს უწყობს **საიმედო და მდგრადი** საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებას...“ (ეროვნული ბანკის კანონის – 23.VI.1995 – მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი); „პირველი კომპონენტის ფარგლებში შეაფასეს საბანკო და არასაბანკო ინსტიტუციების **მდგრადობა...** ჩატარდა სისტემური სტრესის მიმართ ფინანსური სექტორით **მდგრადობის** ტესტი“... (ირ. გურული, რადიო „თავისუფლება“, „სრ“, 11.VI.14).

წეღან კი ვთქვი, სანამ მომდევნო საკითხს შევეხებოდე-მეთქი, მაგრამ აქ უფრო კითხვა უნდა დაისვას: აუცილებელია განა ზემოთ განხილული კომპონენტი **(მდგრადი განვითარება)** ამ სამინისტროს სახელწოდებაში? რა თქმა უნდა, არა. აბა გადავხედოთ სხვა სამინისტროების სახელწოდებებს. ვნახავთ სადმე ამ ერთეულს? ეს მეთაური უწყებები ხომ მოწოდებული არიან საიმისოდ, რომ უზრუნველყონ მათთვის მიჩენილი დარგების, მიმართულებების – განათლების, მეცნიერების, კულტურის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და სხვათა განვითარება? მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგი ვართ ამ მრავლისმეტყველი სიტყვის ხმარებისა.

მაშასადამე, ჩვენს შემთხვევში ამ ფრიად მნიშვნელოვან სამინისტროს შეიძლება ეწოდოს: **საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ან, თუ გნებავთ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.**

სანამ წერტილს დავსვამდე, მინდა, გამოვხატო იმის იმედი, რომ ამ სამინისტროს ხელმძღვანელობა გაიზიარებს გამოთქმულ მოსაზრებებს და გადაწყვეტს აღნიშნულ პრობლემას.

**ოთარ კაპანაძე**

◎ ტელემაყურებელი

# ამდენ სისულელეს ნუ გვასმენინებთ!

**ნებისმიერი ტელემაყურებელი დადებით ემოციებს ეძებს. სწორედ ამით არის განპირობებული სხვადასხვა სერიალების (ზოგჯერ პრიმიტიულის) მაღალი რეიტინგი. უარყოფით ემოციებს თითქოს პროტესტს უცხადებ, თუმცა, რომ გესმის და ხედავ პოლიტიკურ გადაცემებს, ძნელია რეაქცია არ მისცე მათ... მოგეხსენებათ, ქვეყანაში ისედაც დაძაბული სოციალური გარემოა – პენსიები დაბალია, ფასები კი იზრდება!** სეთ მეკისა და ენერგეტიკის სამინისტროს სატელევიზიო კეკლუცობამ კიდევ უფრო გამაღიზიანა! ამით ხომ უბრალო ადამიანებს გვაღიზიანებთ, მაშ რა ჰესებზე და მშენებლობებზე გველაპარაკებით... მე როგორც ერთი უბრალო პენსიონერი (და ჩემნაირი ბევრია) პროტესტს ვაცხადებთ: თუ ეკოლოგია ზიანდება, თუ საქართველოს მოსახლეობას არავითარი შეღავათი (თუნდაც ტარიფებში) არ ექნება, ნურაფერს ააშენებთ!

ამავე გადაცემაში მეორე თემად აჩვენეს, თუ როგორ მიმართა მთავრობას საინიციატივო ჯგუფმა ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული პრემიის დასაწესებლად, მოიყვანეს დალხენილი ქვეყნების მაგალითები სერვანტესისა და აკუტაგავას შესახებ, მოიყვანეს პატივსაცემი მწერლები, გვაჩვენეს იმათი ხელმოწერები. არადა, ქვეყანაში, სადაც სოციალური ფონი ძალზე დაბალია, ქვეყანაში, სადაც ღირსეული ადამიანები (ღირსების ორდენოსნები) დაბალი პენსიის გამო შიმშილობენ და „ღირსეული“ პარლამენტარები და საკრებულოს წევრები მაღალ ხელფასებს არ სჯერდებიან და პრემიებსაც იწერენ, ეს ხომ აღმაშფოთებელია. სხვა პრემიები ეცოტავათ, ივანიშვილის დახმარებები ეცოტავათ, ახლა დიდი ვაჟას სახელს უნდათ ამოეფარონ. უმჯობესია, ჯერ მწერალთა კავშირი დაალაგონ და ქვეყნის ღირსეულ ადამიანებს, დამსახურებულ პენსიონერებს ღირსეული პატივი მიაგონ.

ჩვენ კი ტელევიზორისთვის მაინც გვაყურებინონ და ნერვები არ მოგვიშალონ!

**მალხაზ იაშვილი,**
**პენსიონერი, ღირსების ორდენის კავალერი,**
**მუხიანი, დუმბაძის პრ. №30.**

◎ პრობლემა

# თევზს რომ პირი წყლით არ ჰქონდეს სავსე, იმდენ რამეს იტყოდა...

**საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოში არსებობდა თევზჭერის სამმართველო და ხუთი კოლმეურნეობა. რესპუბლიკაში ყოველწლიურად 100-125 ტონა თევზს იჭერდნენ. მათგან 20-25 პროცენტს ადამიანის საკვებად იყენებდნენ, დანარჩენს კი – მეცხოველეობაში. თევზჭერის მაჩვენებელი ახლაც მაღალიაო, აცხადებს ასოციაცია „ფლორა და ფაუნის“ დირექტორი არჩილ გუჩმანიძე.** მისი განმარტებით მიღწეული შედეგები მხოლოდ ბუნების საჩუქრის შედეგია და არა შესაბამისი სახელისუფლებლო სტრუქტურების ქმედითი ნაბიჯები. ასოციაციის დირექტორის განმარტებით ქართველმა მეთევზეებმა მარტო შარშან 75 ათასი ტონა თევზი დაიჭირეს. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავენ მეთევზეები, სახელმწიფოს ბოლო 3 წელია აღარ აქვს თევზჭერის სტატისტიკა. სარეწაო თევზჭერაში კვოტირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ანუ განგვიმარტავს არჩილ გურმანიძე. ეს არის დასაჭერად დაშვებული თევზის კვოტას მაქსიმალური ოდენობა. ადგენს ლიცენზირიატი – ადგენს კანონმდებლობა, რაც მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევაა, აცხადებენ იურისტები.

ოკეანოლოგთა განმარტებით, დღეს ზღვას და კერძოდ თევზჭერას იმდენი პრობლემა აქვს დაგროვილი, რომ თუ საჩქაროდ ზომები არ განხორციელდა, ზღვაზე სასიცოცხლო რესურსი შემცირდება.

ახლა რაც შეეხება ოკეონოლოგიისა და ამ პროფესიის წარმომადგენლებს, ეს პროფესია ჩვენში მიღებული იყო და დაახლოებით 7 წლის წინათ ისწავლებოლდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ პროფესიის კურსდამთავრებულები იკვლევდნენ არა მარტო ოკეანეების, ზღვების, ტბების და ა. შ. ფსკერს და სანაპიროებს, სხვათა შორის ჩვენს თანამემამულეებს არაერთგზის უწევდათ სასწავლო-პრაქტიკისა და აგრეთვე სამეცნიერო კვლევების დროს, სხვადასხვა სასწავლო, მეცნიერული, პრაქტიკული თუ თეორიული საქმიანი მივლინებები.



ნაციონალებმა ამ პროფესიისა და მისი საჭიროების შესახებ ვერაფერი გაიგეს. შედეგად, უნივერსიტეტის დასახელებულ პროფესიაზე სტუდენტთა რაოდენობა ჯერ შვიდამდე შემცირდა, შემდეგ კი საბოლოოდ გაუქმდა.

სხვა საგულისხმო არასასურველ ფაქტებთან ერთად, ოკეანოლოგმა პაატა ბარამიძემ ერთ-ერთ ინფორმაციად ისიც დაგვიტოვა, რომ საქართველოში შავი ზღვის აკვატორია, ფსკერი (განსაკუთრებით აფხაზეთის მონაკვეთი) დატბორილია ფტორით, მეცნიერთა განმარტებით, სულ ადვილი მოსალოდნელია ის აფეთქდეს. ფტორის ჩაქრობა, განსაკუთრებით, როდესაც პროცესი ზღვაში მიმდინარეობს, პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ეკოლოგები მოსალოდნელ კატასტროფულ შედეგებზე საუბრობენ, ხანგრძლივი წვა მაღალი სიცხე, გამოიწვევს კლიმატის არნახულ ცვლილებას. გადაგვარდება ფლორა და ფაუნა.

მოკლედ, თუ დროზე არ მიიხედა პრობლემა, შავი ზღვა შეიძლება აფეთქდეს. მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არა ერთხელ ჩააყენეს საქმის კურსში ნაციონალური ხელისუფლება, მაგრამ თბილისი ხომ შავი ზღვიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ ალიანჩალიანი

## შეხვედრა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლები გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქსტატიდან აცნობეს, შეხვედრა „2014 წლის მოსახლეობის აღწერის„ პროექტის ფარგლებში განხორციელდა და მას სტატისტიკის სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი მერი დაუშვილი დაესწრო.**

**მათივე ინფორმაციით, სტატისტიკის სამსახურისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დადებული მემორანდუმის ფარგლებში, ეს სტუდენტებთან რიგით მეექვსე შეხვედრაა და მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას.**

**საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდება.**

## დანაშაულის სტატისტიკა

**შინაგან საქმეთა სამინისტრო ივნისის თვის და 6 თვის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. შსს-ს ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 12881 დანაშაული, აქედან 7667 დანაშაული გაიხსნა.**

**დანაშაულის გახსნის კოეფიციენტია 59,52%. წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -16,91 %.**

**მიმდინარე წლის ივნისის თვეში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2002 დანაშაული, აქედან 977 დანაშაული გაიხსნა.**

**დანაშაულის გახსნის კოეფიციენტია 48,8%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -25,1 %.**

## თაღლითობის ფაქტზე ერთი კაცი დააკავეს

**საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა თაღლითობის ფაქტზე ერთი კაცი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, უწყების თანამშრომლების მიერ, თაღლითობის ფაქტზე, დაკავებულია მოქალაქე მამუკა მაჭარაშვილი.**

**– გამოძიებით დადგენილია, რომ მამუკა მაჭარაშვილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, დაუკავშირდა ირანელი ინვესტორის მანუჩეჰრ ბაგჰერის წარმომადგენელს რევაზ ნოდიას, რომელსაც თითქოსდა თბილისის მერიაში არქიტექტურული პროექტის დამტკიცების დახმარების სანაცვლოდ მოტყუებით გამოართვა 17 000 ლარი, – აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.**

**დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.**

**ინტერპრესი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

## მცირე ენციკლოპედია

### ბავშვი ნორმალურად რომ განვითარდეს

**ამერიკის პედიატრიის აკადემიის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ფეხმძიმე და ძუძუთი მკვებავი დედებისთვის ყოველდღიურად საჭიროა კალიუმის იოდიანი და იოდირებული მარილის მიღება. გამოკვლევით დადგინდა, რომ თითქმის ყოველი მესამე ქალი იოდის დეფიციტს განიცდის, რაც უარყოფითად აისახება ბავშვების ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე.**

იოდი – ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებისთ-



ვის აუცილებელი კომპონენტია, ამდენად მისი საკმარისი ოდენობით მოხმარება მათი ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია. მისი დეფიციტის ნაკლებობა ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენის საფრთხეს წარმოშობს, რაც ჯერ კიდევ ბავშვის ორგანოებისა და სისტემების ჩასახვის დროს ხდება. იოდის დეფიციტის გამო ბავშვებში გონებასისუსტე და განვითარების სხვა მანკები უვითარდებათ. ხოლო თუკი დედის ორგანიზმი იოდის მწვავე დეფიციტს განიცდის, ნაყოფს შესაძლოა, კრეტინიზმი განუვითარდეს.

მეცნიერების განცხადებით, ფეხმძიმე და ძუძუთი მკვებავი დედები საკვები დანამატების, კალიუმის იოდის, დიდი ოდენობის მისი შემცველი ზღვისა და რძის პროდუქტების, ასევე იოდიზირებული მარილის სახით ყოველდღიურად ამ ელემენტის არანაკლებ 150 მიკროგრამს უნდა ღებულობდნენ.

### შენი ხმა არ გავიგო!..

**მე-15 საუკუნეში ბრიტანეთში ეგრეთ წოდებული „სქოლდს ბრაიდლი“ გამოიგონეს, რომელიც შემდეგ მთელ ევროპაში გავრცელდა.**

ეს იყო თავზე მჭიდროდ მორგებული რკინის ნიღაბი, რომელსაც ქალს ახურავდნენ ოჯახის უფროს მამაკაცებთან შეკამათებისა და უაზრო ლაყბობის სასჯელად. თავზე წამოცმულ ასეთ „დანადგარში“ ლაპარაკი შეუძლებელი იყო. გარშემო მყოფთა ყურადღების მისაპყრობად კი ნიღაბს ზემოდან... ზანზალაკს ამაგრებდნენ.



### პედოფილების მფარველები

**მსოფლიო მასმედია და ინტერნეტი სავსეა გულის ამრევი მასალებით თანამედროვე საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის კატეგორიულად მიუღებელი ამბებით პედიფილიის შესახებ. ამასთან, ყველაზე აღმაშფოთებელი ისაა, რომ არის რამდენიმე ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაცია, ცალკეული საზოგადოებრივი პირი, რომლებიც პედოფილების ინტერესებსა და „იმიჯს“ იცავს.**

ისინი თავიანთ „სამეურვეოებს“ არა მანიაკებად და მოძალადეებად, არამედ დახვეწილ, მაღალი გრძნობებით შეპყრობილ პირებად წარმოჩენას ლამობენ, რომლებსაც ხშირად... ისევ თავიანთი მსხვერპლი „აბამს“ ხოლმე. თანაც იმის დამტკიცებასაც ცდილობენ, რომ ასეთი მოპყრობა ბავშვების ფსიქიკას სულაც არ ამახინჯებს. ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, ამერიკელი ანთროპოლოგი ჯ. ჰერლდი, რომელიც ახალ გვინეაში ველურ ტომთა რიტუალებს სწავლობდა, რომლებშიც პედოფილიის ელემენტებია ჩართული.

შარშან კი ამერიკელ ფსიქიატრთა ასოციაციამ პედოფილია ავადმყოფობათა ნუსხიდან ამოიღო, თუმცა კი ეს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ზემოქმედებით შეცვალა.

### მკურნალი კოცნა

**რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სასიყვარულო კოცნები, თურმე... დაავადებებისგან გვიცავს.**

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ქალისა და მამაკაცის ვნებიანი კოცნის დროს ორივეს სუნთქვა უხშირდება და უფრო ღრმა ხდება, რაც ბრონქებისა და ფილტვების „განიავებას“ უწყობს ხელს. გარდა ამისა, კოცნის დროს ასევე მატულობს გულის კუნთის შეკუმშვის ძალა და სიხშირე, ძლიერდება სისხლის მიმოქცევა და ეს, თავის მხრივ, ნერვულ უჯრედების ჟანგბადითა და მკვებავი ნივთიერებებით უკეთ მომარაგებას იწვევს.



### კაცი მაინც ვაჟკაცური იერისა უნდა იყოს...

**ქალებს, რომლებიც ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს იღებენ, წარმოდგენა არა აქვთ, თუ რაოდენ დიდია ამ პრეპარატების ზეგავლენა. აღმოჩნდა, რომ კონტრაცეპტივი იდეალურ მამაკაცზე მათ წარმოდგენას ცვლის, თუმცა კი რამდენად აისახება ეს რეალურ არჩევანზე, ამის განსაზღვრა რთული საქმეა. ამასთან, აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის პრეპარატების გამოყენება, მსოფლიო დინამიკაზე მოქმედებს.**

– მოხალისე 18-50 წლის ასაკის ორას ქალბატონს იდეალური პოტენციური პარტნიორის წარმოსახვა ვთხოვეთ, – ამბობს გამოკვლევის ავტორი, ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორი ალესიო გორი. – ცნობილია, რომ ოვულაციის პიკზე ქალბატონები მაქსიმალურად ვაჟკაცურ მამაკაცებს ირჩევენ, მაგრამ აბების მიმღებებს ეს პიკი არ აღენიშნებათ, რაც, თავის მხრივ, მამაკაცებზე მათ წარმოდგენას ცვლის.

ქალები მამაკაცებს სხვადასხვა მახასიათებლებით, მათ შორის, ათლეტური აღნაგობითა და სოციალური სტატუსით, ასევე ვაჟკაცურობის დონით აფასებენ. ფიზიოლოგიური აქტივობის პერიოდებში ქალები, რომლებიც კონტრაცეპტივებს არ იღებდნენ, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც უფრო ვაჟკაცურ მამაკაცებს ანიჭებდნენ უპირატესობას.


## ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო“ უებარი წამალია

**„სალხინო“** აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.







**„სალხინო“** სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

**„სალხინოში“** შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

**„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.**

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84**
www.salkhino.ge


## ინფორმაცია

### ფოთში 14 წლის ბიჭი დაიხრჩო

**ფოთში,** ზღვისა და მდინარე რიონის შესართავთან, გუშინ 14 წლის ბიჭი დაიხრჩო. შემთხვევა დილით მოხდა. წყალში შესული ორი მეგობრიდან ერთ-ერთის გადარჩენა, იქვე არსებული ნიჩბოსნობის სკოლის სპორტსმენებმა შეძლეს, მეორეს გადარჩენა კი ვერ მოხერხდა.

– ვარჯიშის პროცესი მიმდინარეობდა და ყვირილი შემოგვესმა, სპორტსმენებთან ერთად მხოლოდ ერთის გადარჩენა მოვახერხეთ, მეორის გადარჩენა ვერ შევძელით, – განაცხადა ნიჩბოსნობის სკოლის მწვრთნელმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

## კადრი

**კრასნოიარსკში** ისეთი სიცხე იყო, რომ მცხოვრებლები მთლიანად გადასახლდნენ ბინებიდან წყლის ზედაპირზე. გადარჩენა – მაგრამ ახლა უკვე არა ხვატისაგან, არამედ ველური ხარისაგან – ამას ეძებდნენ ესპანელებიც, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ტრადიციულ გარბენაში ხარებისგან თავის დასაცავად. ხარი ზღვაში გადაეშვა, და სხვათა შორის, მისი გადარჩენაც გახდა საჭირო, ზღვიდან – ნავში.



## ცინცხალი ანეკდოტები

**– აბა, რას შვება მანდ ჩემი შვილი? – ურეკავს დედამთილი თავის რძალს.**
**– რას იზამს... არაყს სვამს, ქალებში დაეთრევა, მცემს...**
**– მადლობა ღმერთს, ოღონდ არ იავადმყოფოს და...**

* * *

**– რაბი, ორიოდე წლის წინათ ჩემი ქმარი დაიკარგა. როგორ გგონიათ, დაბრუნდება?**
**– ასეთ რთულ კითხვას მე ვერ ვუპასუხებ. მთავარ რაბინს უნდა ვთხოვოთ რჩევა. ხვალ მობრძანდით.**
**– რაბი, რა გითხრათ მთავარმა რაბინმა? – ეკითხება მეორე დღეს ქალი.**
**– მან მითხრა, რომ ქმარი დაგიბრუნდებათ. მაგრამ მე გეუბნებით, რომ ის არ დაბრუნდება.**
**– რატომ?**
**– იმიტომ, რომ მთავრ რაბინს თქვენ არ უნახიხართ.**



* * *

**– მოშე, სახლში ჩაი გაქვთ?**
**– არა.**
**– ყავა.**
**– ჩაი გვაქვს.**

* * *

**– თქვენი პროფესია?**
**– ცირკში ვმუშაობ დანების მსროლელად. ასისტენტისგან მილიმეტრების დაშორებით ვარჭობ ნატყორც დანას.**
**– ნაციხარი ხართ?**
**– ერთხელ.**
**– რისთვის იხდით სასჯელს?**
**– მუშაობაში დაშვებული წუნისთვის.**

* * *

**კატიას ორი ვაშლი აქვს, დაშას – ორი ნესვი.**
**რომელი მათგანია უფრო მიმზიდველი?**

* * *

**– ბარმენო, დღეს თქვენს ლუდს რაღაცნაირი უცნაური გემო აქვს: სულაც არ არის გუშინდელის მსგავსი.**
**– ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება, მათ შორის, წყალიც ონკანში.**


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24